

# თეთრი გიორგი



ერთიანი პატრიოტების ლაგერის ქოვლისა თეთრი გიორგის ლაგერისა

პარიზი, 1936 წ. ივლისი, № 96.

რედაქტორი: — ვიქტორ ნოსადე

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens « THETHRI GUIORGUI »  
Directeur : VICTOR NOSADZE Rédaction : 126, Avenue Emile-Zola, Paris XV.

Paris, Juillet, N° 96.

## საგაერთაო კავშირის კონსტიტუციის პროექტის გამო

გაერთიანებული და გამობრძელები ოსტატები სხედან მოსკოვში; მათი ხელობა თვალისახევა და სინამდვილის დამალვა; მათი ხელობა ტყუილისა და სიცრუის სინამდვილედ გასაღება; მათი ხელობა სხვათა დაბრმავება და „გაცურება“; მათი ხელობა მოვარაყება იმ ჯოჯოხეთურ ქვეყანისა, რომელსაც საბჭოთა სამოთხეს ეძახიან, და სადაც სულთამხუთავები „საამური ცხოვრების“ მოციქულებად არიან გამოყვანილი; მათი ხელობა... ბევრი ისეთი რამ, რაც ევროპიელს არც მოაგონდება და არც დაესიზმრება. ამ ოსტატებს ხშირად გაუღიღო სიცრუე და ორბირობა; ხანდახან ატყუებენ სხვასაც; ხან კი აბრმავებენ კიდევ; მაგრამ ასეთივე შედეგი აქვთ თუ არა ამ ჯამბაზებს თვით საბჭოთა ქვეყანაში — ეს მეტად საეჭვოა. თუმცა ბოლშევიკური გავრცელება სავსეა იმ აღფრთოვანებულ გრძობათა გამოთქმით, რაც ერთმანეთს მოსწონს 12 ივნისს, კონსტიტუციის გამოქვეყნებას თან მოჰყვა.

შესაძლებელია ეს აღფრთოვანება ნამდვილი იყოს? შესაძლებელია ამ ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვამ სიხარული და ყიფინა გამოიწვიოს? რა უნდა ახარებდეს საბჭოთა მოქალაქეს? რამ აღფრთოვანა იგი? მისი მიზეზი იქნება თვით კონსტიტუციაში არის მოცემული, — თუ ესაა იმედისათვის აღფრთოვანება: — ღმერთმა ჰქმნას და ეს მაინც განხორციელდესო! ეს მაინც, ვინაიდან დღემდე, არსებული არა-ნაკლებ „კარგი“ კონსტიტუციის მიუხედავად, მისი განხორციელება საბჭოთა მოქალაქეს არც გაუჭვია და არც უგარძნია.

ყოველი კონსტიტუცია, როგორც ზედმიწევნით იღვალურად არ უნდა იყოს, ჩირად არა ღირს, თუ მისი არსებობა მარტო ქალაქდება გამოხატული და სინამდვილეს დასწრებულია. ამ ახალი კონსტიტუციიდან ბევრი რამ ახლავს ცხოვრებას მოწყვეტილი, განსაკუთრებით სოციალისტურ საკუთრებასა და შრომის დარგში, მაგრამ ჩვენ ამ საკითხზე არ ენერგობით და მხოლოდ ამიერკავკასიის ფედერაციის დამოუკიდებლობის საკითხს ვაქცევთ. საკუთარი რესპუბლიკად გამოცხადების საკითხს შევხებით ამიერკავკასია 1920-1 წლამდე თავისუფლად, ურუსეთოდ, რესპუბლიკად არსებობდა, და ორი წლის განმავლობაში მათ რუსეთმა ხელი დაადო და შეიერთა. საქართველოს რესპუბლიკის დაკავების შემდეგ ფართოდ დაიწყო ბრძოლა ამ „სოციალისტურ“ საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებისა და ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკათა შექმნის შესახებ. ამიერკავკასიური რესპუბლიკები კი, ახლა დამონებულნი, ბოლშევიკური აპარატის ქვეშ მდებარე, მაინც ბედდღედ დაეცვათ თავისი რელიგიური „დამოუკიდებლობა“ — ამ საკითხის გამო კერძოდ საქართველოში მთელი მოძრაობაც კი შეიქმნა, ვერდ-წოდებული ბოლშევიკური „ნაციონალ-უკლონიზმი“. მაგრამ მოსკოვის ძალადობით, აღმინისტრაციული და პარტიული საკითხის ზომების მიღებით და ცაკის დაწვევის შედეგად ამიერკავკასიის ფედერაცია მოწყობილ იქმნა...

კავკასიის არც ერთი ერისათვის არავის არ უთიხავს: სურდათ მათ თუ არა ფედერაციის მოწყობა!

ნაძალადევი შექმნილი ამიერკავკასიის ფედერაცია კი გარდაიქცა რუსეთის საბატონო მხარეად არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიურადაც, ვინაიდან თუ პოლიტიკურად მას მოსკოვის მიერ დანიშნული „ნამესტნიკი“ განაგებდა და მოსკოვის ნებისყოფას ცხოვრებაში მეტად გულმოდგინედ ატარებდა; — ეკონომიურად იგი მოსკოვის საყველემ მასალად აქცევს; ნავთი და შავიქვი და კულტურები, საერთოდ: სავალიუტო საქონელი უნაგარიზოდ მიჰქონდა რუსეთს, რომელმაც კოლონიალური ეკონომიური პოლიტიკა კავკასიაში სახელმძღვანელოდ გახადა, და ეს ხელმძღვანელობა ისეთი ცენტრალისტური იყო ამიერკავკასიის ფარგლებშიც, რომ მოსკოვის ცენტრიც კი შეწყუბა ამის გამო. გულწრფელად თუ არა-გულწრფელად, ეს ღმერთმა იცის, — და აი ამ 15-16 წლის განმავლობაში ამიერკავკასიის ერები განიცდიდნენ რუსეთის პოლიტიკურსა და ეკონომიურ პირდაპირ მონებას და დაუ-ზოგველ ცარცვა-გლეჯას. — იოლი იყო ერთად მთელი მხარის ექსპლუატაცია და საესებით მოსკოვთან გადაბმად-დაკავშირება დამონების მიზნით.

და აი უცხად: 12 ივნისის კონსტიტუციის პროექტი არღვევს ამიერკავკასიის ფედერაციას და ცალკეული რესპუბლიკა საერთო კავშირში შეჰყავს!

აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის გამოქვეყნებამდე, ერთმა მოსკოვურმა დეპუტატმა მთელი სოფლიო მოიარა: საქართველოს დამოუკიდებლობა მიენიჭებო! ამ ხერხს ერთი მიზანი ჰქონდა: ამ ხრიკით უცხოეთი უნდა მოტყუებულიყო: ამხანაგებო! ჩვენ განვათავისუფლეთ საქართველო, იგი დამოუკიდებელი გახადეთო! მოსკოვის ოინაზებმა კარგად იციან, თუ საქართველოს რაოდენი სიმპატია და სახელი აქვს უცხოეთში, და ზემოაღნიშნული ხრიკით

მათ სურდათ ქვეყანა შეცდომაში შეყვანათ და ნასყიდი კალმებიც აეწრიანებინათ. ნაწილობრივ ამას მაშინ მიადრწეს კიდევ, მაგრამ კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებამ ყველას დაანახა, რომ ყოველივე იყო სიცრუე და ლიტონი სიტყვა. საქართველოს არავითარი დამოუკიდებლობა არ მიუღია, ხოლო იქნა დამოუკიდებლობის ფედერაციული რესპუბლიკა და საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი ცალკე მოკავშირე რესპუბლიკებად შეეყვანილ თერთმეტ-რესპუბლიკიან რუსეთში! ...

არც მაშინ, როდესაც ამიერკავკასიის ფედერაცია შეჰქმნეს; არც ახლა, ოდეს დაარღვიეს, არავინ ერბობისთვის არ უთიხავს: სურდათ მათ ეს თუ არა! ყველა ამ საკითხს სწვევდა და სწვევდა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობა მოსკოვი, და ამ კონსტიტუციის აქტით არსებითად არაფერი იცვლება. საქმე ის კი არაა: საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციის გზით თუ საკუთარი გზით იქნება რუსეთის ფარგლებში შეყვანილი. — ჩვენთვის საკითხი ასე არა სდგას — საქმე ისაა, რომ საქართველო საერთოდ არ უნდა იყოს რუსეთის ფარგლებში, იგი მის გარედ უნდა იმყოფებოდეს და სწორედ ამისათვის იბრძვის იქ ქართველი ერი და ვიბრძვით ჩვენც აქ.

აბა, 15 წლის ბატონობის შემდეგ, მრავალ „ქვეშევრდომ“ რეზოლუციათა და „აღფრთოვანებათ“ შემდეგ, გაბედის მოსკოვმა და დაუსვას ასეთი საკითხი ქართველ ერს, რომელსაც ამავე კონსტიტუციის პროექტის მიხედვით საბჭოთა კავშირიდან გასვლის ანუ წასვლის უფლება აქვს!

აბა, გაბედის მოსკოვმა და წარმოადგინოს მოშორების საკითხი ქართველი ერის წინაშე ამ 15 წლის განმავლობაში „სოციალიზმის“ დამყარებისა და „საამური“ ცხოვრების შექმნის შემდეგ!!! — ამ სიბრტყეზე ვარდენით ჩვენ საკითხს და, რასაკვირველია, პასუხს არ მოველო!

არის მეორე მხარეც, რომელიც ჩვენს ურადლებას იპყრობს: — რა მიზნით და რისი გულისთვის დაწალეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია? რამ აიძულა მოსკოვი ასეთი ნაბიჯი გადაედგა და ერთგვარი „ლიბერალიზმი“ გამოეჩინა? ამ მოსკოვის ოფიციალური ახსნა, რასაკვირველია, სიბრყველა. ბ. ბერიას ნაქალაქევი: რომ სოციალიზმი დამყარდა, ამიერკავკასიის ხალხთა ძმობა განმტკიცდა, მრეწველობის ნაციონალური კადრები შეიქმნა, და ახლა საკითხი აღარ არის ფედერაცია და სხ., — რის შესახებ ანგარიში მკითხველი აქვს, მეორე ადგილას ვაიციანობს. ყურით მოთრეული საბუთი და ქვეშარტებისაგან როგორც ცა დედამიწას დაშორებული. საკითხის სიმძიმე სხვაგან იმალება და ეს „სხვაგან“ არის ის საერთაშორისო ვითარება, რომელიც საბჭოთა რუსეთის გარშემო შექმნილი. საგარეო საფრთხე — აი მისი სახელი, და სწორედ ამ საგარეო საფრთხის წინაშე „ნიშნა აიძულა რუსეთი კავკასიის ერებისათვის მიეცა ის ეროვნული სახეობა, რომელიც ეროვნულ გრძობას ერთგვარ დაკმაყოფილებას აძლევს. მოსკოვის ანგარიზით, — ქართველმა, სომეხმა და აზერბეიჯანელმა ასე უნდა იფიქროს: — დღემდე ჩვენ ვიყავით ამიერკავკასიის ფედერაციაში შეხებული, ტვილისის გზით შევიდოდით მოსკოვში, — ახლა კი სტალინმა (გენიალურმა, მშობლიურმა, დიდებულმა, და სხ.) იცნა ჩვენი ეროვნული მოთხოვნების საბუთიანობა და თუ სულ არ გავგაუთავისუფლდ, ცალკე რესპუბლიკად მაინც შეგვიყვანა საერთო საბჭოთა ქვეყანაში, „სოციალისტურ საერთო სამშობლოში“-ო. ეს ანგარიში არც ცუდია და ნაწილობრივ მიზანსაც ახწევს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ განწყობილებასაც, რაც გამოიწვია ზოგიერთმა ამ კონსტიტუციის გამოქვეყნებამ და რასაც მავანი ასეც ფიქრობს. მოსკოვი კი ფიქრობს თავისებურად და თავისათვის: — მას სურს თავიდან აიცილოს ის ეროვნული თავისუფლებისათვის ქადაგება, რომელიც თითოეულ ერს წარტაცებს; მას სურს აიცილოს ის მძაფრი წადილი, რომელიც თავისუფლებისადმი მიმართულია; და იმ შემთხვევაში, თუ ომის საფრთხე მართლაც დადგა, მას სურს ყველა ეს ერი თავის მხარეზე დააყენოს, ერთად აბრძოლოს საბჭოთა რუსეთის დასაცავად.

მაგრამ ფაქტურად ეს რესპუბლიკები ხომ მოჩვენებითი არიან?! მათი უფლებები ხომ არარაობამდეა დაყვანილი! და მოსკოვს არც შეეძლო სხვაგვარიად მოქცევა, ვინაიდან ნამდვილ უფლებათა მინიჭება კავკასიის ერებისათვის მისთვის ხელსაყრელი არ იქნებოდა და შეუქმნიდა რა მათ ასეთი ნაბიჯით ნამდვილ საფუძველს დამოუკიდებლობისათვის. თავის თავს თვითონვე განსაცდელში ჩააგდებდა. ამატომ მოსკოვმა მიმართა ჩვეულებრივ ოინს: „დამოუკიდებლობა“ ვითომც მინაიჭა და ცალკე რესპუბლიკადც გამოაცხადა, თითოეული რუსულ კავშირში შეიყვანა და ამ რესპუბლიკათა უფლებები თვითონვე მიითვისა. ამნაირად, ფაქტურად შექმნილია ასეთი მდგომარეობა: —

საქართველო და სხვები — რესპუბლიკები არიან, ხოლო ამ რესპუბლიკათა არსებითი უფლებები მოსკოვის ხელშია, ანუ სხვაგვარად: მოხდენილია ეფემერული დიქტატორალიზაცია და გატარებულია ამავე დროს საშინელი, ნამდვილი ცენტრალიზაცია.

12 ივნისის კონსტიტუციის პროექტი არის იმ საწამლაკის მოვარაყებელი აბი, რომელიც საქართველომ სიხარულით უნდა გადაეყვანა და შემდეგ მოწამლული და დასნეულებული, მოსკოვის აქიმბაშების ზრუნვაში უნდა დარჩეს, ასეთია კონსტიტუციის პროექტის არსებითი მხა-

რე თეორიაში და კიდევ უფრო უარესი იქნება თვით ცხოვრებაში, თუ მას განხორციელება საერთოდ ელირსა და კვლავ ქალაქდზე არ დარჩა, როგორც მისი წინაპარი.

ჩვენ კი ვვრწამს, რომ საქართველოს საკითხი „კონსტიტუციებით“ არ გადაწყდება და ქართველ ერს განთავისუფლებას არც ერთი „კონსტიტუცია“ არ მოუტანს, ვარადა იმ კონსტიტუციისა, რომელიც თავისუფლებისათვის და დამოუკიდებლობისათვის თვით ერის ბრძოლის შედეგად წარმოიშვება.

## საშტამო საკითხი

დარდაწინებისა და ბოსფორის სრუტეთა საკითხი პირველად არ იხმება და არც უკანასკნელად, საერთაშორისო ძალთა ურთიერთ დამოკიდებულებისა და ბატონობის გადასაწყვეტად. ეს ორი სრუტე, ხმელთაშუაზღვას რომ შეზღვრავს აერთებს დიდი ხნიდან საბრძოლო საგანი იყო, და პეტრე დიდიდან მოკიდებული ბოლშევიკურ რევოლუციამდე, რუსეთი არც ერთ შემთხვევას არ ჰკარგავდა, თუ ამ გზას ხელთ ვერ ჩაიგდებდა, მასზე ბატონობა მაინც განემტკიცებინა, ან სხვა მასზე არ მიეშვა. ორასი წელიწადის მერის მანძილზე რუსეთი ამ ცდას არ აკლებდა, და არც მისი მოწინააღმდეგე ოსმალეთი, და დამხმარე მისი ინგლისი, არ ისდენ გულხელ დაკრეფილი. და დიდმა ომმა ისე იფეთქა, რომ სრუტეების ბედი ოსმალეთის ხელში იყო და უცხოეთის სამხედრო გემებისათვის დახურული. ხოლო მსოფლიო ომში რუსეთმა დრო იხელთა და მოკავშირეებისა გან კონსტანტინეპოლის მიღების აღთქმაც კი დაიდასტურა, ვინაა ამავე ომში დანარცხებული რუსეთის მემკვიდრე ბოლშევიზმმა იმ ხნად, ოდეს იგი მსოფლიო რევოლუციას ელოდა და ესწრაფოდა, სრუტეთა საკითხი ახუნად აიგო, რაც შედეგს სანანებელი და საბრძოლო გაუხდა.

მუდროსის ზავის (1918 წ. ოქტ.) მიხედვით, დამარცხებულმა ოსმალეთმა ხელი მოაწერა საბუთს, რომლის ძალით დარდაწინელი და ბოსფორის სრუტენი გაიხსნენ და სამხედრო გემებისათვის სასაირულოდ თავისუფალი გახდნენ. ეს ვითარება დამტკიცდა და განმტკიცდა 1922 წლის სევერის ხელშეკრულებით, რომლის მუხლი 37 შემდეგს ამბობდა: „ნაოსნობა სრუტეებში, რომელიც შეიკავნენ დარდაწინელს, მარმაროს ზღვასა და ბოსფორს, ამიერიდან ღია იქნება, მშვიდობიანობისა და ომიანობის დროს, ყველა სავაჭრო თუ სამხედრო გემისათვის, და სამხედრო და სავაჭრო საზაერო გემებისათვის, ბაიბაღის განურეგულია“...

არსებითად ეს ნიშნავდა, რომ ძლიერი სამხედრო სახელმწიფო ბატონი იქნებოდა შავს ზღვაზე და რუსეთის ბედის მიმართავშიც თავის როლს ითამაშებდა, რაც სინამდვილეში თვით იხილა ბოლშევიკურმა რუსეთმა, როცა საბოქალაქო ომის დროს შავი ზღვიდან თეთრგვარდიელებს იარაღს აწოდებდნენ და დროებით, კავკასიის ბედში ინგლისის დადამყვეტ როლს ითამაშებდა, და, რასაკვირველია, როდესაც 1922 წ. ნოემბერში ლოზანის კონფერენციამ კვლავ სრუტეთა საკითხს იხილავდნენ, აქ უკვე ბოლშევიკებმა ინგლისს ბრძოლა გაუღმარეს, ოღონდ ამაოდ, ვინაიდან ლოზანის კონფერენციის დადგენილებით გადაწყვეტილ იქნა: — თავისუფალი გავლა სრუტეებში სავაჭრო და სამხედრო გემისათვის, სრუტეთა დემოლიტარიზაცია და მეთვალყურე კომისიის დაარსება. ბოლშევიკებმა ეს ხელშეკრულება არ მიიღეს და არც დაამტკიცეს.

ცხადია, ამ სრუტეთ არა მარტო სამხედრო მნიშვნელობა აქვს, არამედ დიდი ეკონომიურიც, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ამბავს, რომ ომის წინ რუსეთის საზღვაო გაზონის თითქმის ერთი მესამედი ამ გზით მიდოდა, და მით უმეტეს ახლა, როცა ბალტიის საზღვაო წერტები დღეს მის ხელში აღარ იმყოფება.

ჩვენ სრუტეთა საკითხს იმიტომ შევეხეთ, რომ მას, თუ პირდაპირი არა, ირიბული კავშირი უსათუოდ აქვს კავკასიის და კრძადი საქართველოს საკითხთან. ჩვენი ქართული თვალსაზრისით სულერთი არაა: იქნება თუ არა სრუტე თავისუფალი გზა, იქნება თუ არა შავი ზღვა დახურული, სრუტეთა დაკეტვა ნიშნავს საქართველო-კავკასიის მოწყვეტას ევროპის ინტერესებიდან, რაც აშკარაა, როგორც შავი ზღვის, ისე კავკასია-საქართველოს მოსკოვის ბატონობაში სტოვებს და რუსეთის ანაბადა ჰქნის. ამის გამო მეტად მნიშვნელოვანი იყო ის წინადადება, რომელიც ოსმალეთმა აღძრა სახელმწიფოთა წინაშე ამა წლის აპრილის 11-ს და რომლითაც მან სრუტეთა საკითხის ხელახალი განხილვა ითხოვა.

საერთაშორისო მდგომარეობა ისე დაქიმულია და მძაფრი, ვითარება ისე გამორკვეველია და უცნობი მოლოდინით აღსავსე, რვევის სურათებით აფერადებული; დიპლომატიური და პოლიტიკური თამაში ისე რთული და მერყევი, რომ ოსმალეთს წინადადებაზე უარი არ უთხრეს,

და ივნისის 2-ს შევიცარიაში, მონტრეში, შესდგა კონფერენცია, სადაც გაიშალა ძველი ნაცნობი და მიმე ბრძოლა, ბრძოლა ტრადიციული სრუტეთა გამო, და სადაც კვლავინდებურად რუსული და ინგლისური ინტერესები ერთმანეთს დაეჯახა, რას მოითხოვდა ოსმალეთი? რა უნდოდა რუსეთს, რა დაუპირდაპირა ინგლისმა და რაზე მორიგდნენ?

ოსმალეთის მოთხოვნილება შემდეგი იყო: — სრუტეთა გამოვრების უფლება, თავისუფალი სავაჭრო მიმოსვლა, შავი ზღვის არამონაპირე სახელმწიფოთათვის უფლების მიცემა გაატაროს სრუტეებში არა უმეტეს 14.000 ტონის სახმედრო გემებისა, ისიც 15 დღის ვადით, და სავსებით აკრძალულ იქმნეს როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო პეროპლანთა გადაფრენა სრუტეებზე; მეთვალყურე კომისიის მოსაბოძა.

რუსეთის მოთხოვნილება იყო: — დაიხუროს შავი ზღვა ყველა იმ სახელმწიფოსათვის, ვინც მას არ საზღვრავს, შავსადაც, შავი ზღვის არამონაპირე სახელმწიფოებს აკრძალეთ სამხედრო გემთა გატარება სრუტეებში, ვარდა, რასაკვირველია, დარბაზობის შემთხვევისა, და არც ამ უკანასკნელ შემთხვევაში, არ ექნეთ უფლება დარჩენ ზღვაზე 15 დღეზე მეტი. ვასაგებია, პაერის ფლოტისათვის აკრძალულ უნდა იქმნეს სრუტეებზე გადაფრენა. შავი ზღვის სახელმწიფოთ კი ნება უნდა ექნეთ გაატარონ თავისი სამხედრო გემები იქით და აქეთაც, და სხვებს ამის უფლება მიეცეთ მხოლოდ მაშინ, თუ ამას მოითხოვს ხალხთა ლეგის საბჭოს დადგენილება ან ადგილობრივ ურთიერთ ხელშეკრულებათა მუხლი ომის საფრთხის შემთხვევაში, და ამ პირობით. თუ გზას მოითხოვს ის სახელმწიფო, რომელსაც თავს დაესხნენ.

ინგლისის დებულება შემდეგი იყო: — შავი ზღვა უნდა დარჩეს ღია და თავისუფალი ყველასათვის; ყველას უნდა შეეძლოს გაატაროს სრუტეებში თავისი გემები; თუ რუსეთი მიიღებს უფლებას გაატაროს სრუტეებით განსაზღვრული ტონაჟი გემებისა, ასეთივე უფლება სხვასაც უნდა მიენიჭოს.

მონტრეს კონფერენციამ დასწრე სხვა სახელმწიფოთა კი — საფრანგეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, სერბიეთი, იაპონია — ზოგი საშუალო დებულებას, ზოგი შემარგებელს, ზოგი ინგლისურ დებულებას იხიარებდა. ამ კონფერენციამ არა სჩანდა იტალია, რომელმაც არ მოისურვა მასში მონაწილეობის მიღება და წინდაწინე განაცხადა, რომ იგი კონფერენციის დადგენილებას თავისთვის სავალდებულოდ არა სთვლის. არ იყო წარმოდგენილი არც გერმანია.

აღნიშნულ დებულებათა გარშემო გაიმართა გაცხარებული, და ხშირად მწვევე შეჯახება-დავა; რომლის მიმდინარეობაზე ჩვენ აქ არ შეგვირდებით, ხოლო აღნიშნავთ, თუ რაოდენ დამძიმებულია საერთო მდგომარეობა და რამდენად გართულებულია იგი იმ სხვადასხვა ინტერესებით და მომავალი ომის შიშით, რომლის გამო მრავალ კომბინაციას მიმართავენ, რათა თავისი საკუთარი ძალა გაზარდონ, მოკავშირენი შეიძინონ და ბატონობისათვის გზა გაიკაფონ.

დიდ დავათა შემდეგ, რომელშიც პირდაპირ ჩაურეველად და დაუსწრებლად, მაგრამ დამამართობელ და თავზარიან როლს ითამაშებდნენ არა დასწრე სახელმწიფოთ, მიღწეულ იქნა ერთგვარი შეთანხმება, რომლის არსებითი მხარე შემდეგია: —

დადგენილებანი სავაჭრო გემებისათვის: — თავისუფალი მიმოსვლა სრუტეებში ყველა ქვეყნის სავაჭრო გემისათვის, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომიანობის შემთხვევაში. შემცირება საგზაო გადასახადისა და სხ.

დადგენილებანი არა - მეომარი სახელმწიფოთა გემებისათვის: — მშვიდობიანობისა და ომის დროს, როცა ოსმალეთი ნეიტრალური იქნება, მიმოსვლის თავისუფლება არა-მეომარ სახელმწიფოთა სამხედრო გემებისათვის; ტონაჟი — 30.000; ერთდროულად შეუძლია ვადიდეს 15.000 ტ. გემს. მონაპირე სახელმწიფოთა მსუბუქ გემების გასვლა და მათ შორის რუსეთისათვის 25.000-ანი კრების



რის გასვლა ორი დესტროიერითურთ. გემების გასვლის შესახებ ოსმალეთის მთავრობას უნდა ეცნობოს 8 დღით ადრე; გემებს შეუძლიათ შეზღუდვებზე დაჩინება ერთი თვის განმავლობაში; შვიზღვის არა-მონაპირე ხაზელმწიფითა წყალქვეშა ნაგებს და პორტვიონებს ეკრძალებათ სრუტეებში გასვლა.

დადგენილებანი მეომარ სახელმწიფოთა შესახებ: — ყველა მეომარ სახელმწიფოს სამხედრო გემებისათვის დაიკრება სრუტეები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხალხთა ლიგის საბჭო გზის გახსნას მოითხოვს ან ადგილობრივი ხელშეკრულება, რომელშიც ოსმალეთს მონაწილეობა ექნება. ოსმალეთს შეუძლია გზის დაკეტვა იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ომის საფრთხეს გრძობს. ოსმალეთს ეძლევა უფლება გაამაგროს სრუტეთა ნაპირები, შეთვალსურე კომისია მოისპობა; მისი უფლებები გადაეცემა ოსმალეთის მთავრობას. პაეროპლანთა გადაფრენა აკრძალული იქნება სრუტეთა მხოლოდ გამაგრებულ ადგილებზე და მარმაროს ზღვაზე...

თუ ჩვენ რუსეთის მიერ წამოყენებულ დებულებებს შევადარებთ აქ აღნიშნულ და მიღებულ დებულებებს, ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ რუსეთმა თავის მიზანს ვერ მიაღწია და შვიი ზღვა რუსულ ზღვად ვერ გადააქცია, თუმცა არც სრულ წიგნებში დარჩა.

მთავარი ესაა — რუსეთში შვიიზღვა თავის საკუთარ ასპარეზად ვერ გახდა, — და ამისათვის ბრძოლაში მოსკოვსა და ანკარას შორის გულცივობა დაიწყო, რადგან ოსმალეთმა კარგად იგრძნო და გაიყო კიდევ მოსკოვის ზრახვები, მიმართული სრუტეთა არეზე ბატონობისათვის. — ყველაზე მეტი მოგებელი თვით ოსმალეთი დარჩა, რომლის მოკავშირეობის გულისათვის აწი დაიწყო აშოკობა, ქიშობა და ჯიბრბი. ამის ნიშანი უკვე მოხსნას, როცა პარიზი თავს ევლვად ანკარას და მოსკოვს ურჩევს რუსეთ-ოსმალეთის 1920 წლის ხელშეკრულებას ხალხთა ლიგის სექრეტარიატში შეიტანოს. და თვითონაც ოსმალეთთან კავშირის დადებზე ლაპარაკ იწყებს. ოსმალეთი კვლავ შექმნა, მონტრეს კონფერენციის შემდეგ, სასურველ მოკავშირედ და ის გულცივობა, რუსეთსა და მის შორის რომ დაიბადა, და ინგლისთან კეთილი განწყობილება, რომელიც იქვე იშვა, გვაფიქრებინებს, რომ მოსკოვ-ანკარას მეგობრობის დაღმარები იწყება, და ინგლისის განსაკუთრებული ყურადღება ახლო აღმოსავლეთის საკითხებში იმ ვითარების გამო, რაც დღეს ხელთაშუაზეა. შექმნილი, თავის მიზრე ზრახვა იმყოფება; თუმცა იტალიასაც აქვს თავისი სათქმელი. მაგრამ დღეს ისე სწრაფად იცვლება სახელმწიფოთა შორის ურთიერთი განწყობილება და საერთაშორისო მდგომარეობა, რომ ძნელია რაიმე ვადაპირთი ითქვას; და არცინ იცის, თუ ომის შემთხვევაში როგორი გადაჯგუფება მოხდება, მიუხედავად იმისა, რომ თვითული ყოველ ღონეს დებულობს ბრძოლის ველზე მართო არ დარჩეს.

**ბ. ბებურიშვილი**

გახეთი თმთარი ბიორბი იბეჭდება ყოველ - თვიურად.

**საბოლოო კავშირის კონსტიტუციის პროექტის ბარჯობა**

ამპრობოვებს ჩვენს ხალხებს, ხელს შეუწყობს რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას... — რა არის ეს ისტორიული როლი, რომელიც ფედერაციამ შეასრულა? აი რა: — „სამივე რესპუბლიკაში განხორციელდა მსხვილი სოციალისტური მრეწველობა, საბოლოოდ გაიმარჯვა და განმტკიცდა საკომუნურნო წყობილება, წარმოიშვნ და გაიზარდნ ხელმძღვანელი, პარტიული სამურნო და საბჭოთა მუშაკების, აგრეთვე კვალიფიციურ მუშათა ნაციონალური კადრები მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა დარგში, დამყარდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა უშუალო სამურნო და კულტურული კავშირი საბჭოთა კავშირის სხვა მხარეებთან და რესპუბლიკებთან... განმტკიცდა ამიერკავკასიის ხალხთა ძმური ერთობა“... —

**რა აინტერესებთ მართებულს?**

საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა საგაღმებლო გახდა, როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც სახელდახლოდ იმართება კრებები და უფიცი ავიტატორები უხსნიან და ურკვევენ მუშებს კონსტიტუციის მნიშვნელობას, ამის შესახებ ანგარიშები იბეჭდება გაზეთ „კომუნისტ“-ში, მაგრამ რა ანგარიშები ეს? ყველა ერთი და იგივე: „ობტა და დიდება სტალინს, ქება და შესხმა ახალ კონსტიტუციას, რომელიც... არის სოციალისტური მშენებლობის საბოლოო გამარჯვების კანონი... სამური ცხოვრების კანონი... ნამდვილი დემოკრატიული კონსტიტუცია მთელ მოსოფლიოში“... და სხვა მრავალი ამგვარი, რომელიც არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს. ჩვენ ყურადღება მივაქციეთ, თუ რა კითხვები იქცევს და იზიდავს ქართველის გულისყურს, მაგრამ სამწუხაროდ, ამ კითხვთა გამო თვით მათი აზრი გამოქვეყნებული არაა, ქართველებს აინტერესებთ შემდეგი საკითხები: მოქალაქე უფლება და მოვალეობა, საარჩევნო სისტემა, ამიერკავკასიის მომხმ რესპუბლიკათა უშუალო შესვლის შესახებ ს.ს.რ. კავშირში, თვითული მოკავშირე რესპუბლიკის ს.ს.რ. კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლება, ს.ს.რ. კავშირის უზენაესი საბჭოს, როგორც ერთადერთი საკანონმდებლო ორგანოს შესახებ... პასუხი ამ საკითხებზე ოფიციალურია, საგაღმებლო და არაფრის მთქმელი!

**როგორ ასაბუთებენ ფედერაციის დაშლას**

რუსულ „პრავდა“-ში და, რასაკვირველია, კავკასიის ყველა გაზეთში გამოქვეყნებულია ლ. ბერიას წერილი, რომელიც სცილიობს განმარტოს, თუ რატომ იქნა შექმნილი და ახლა დაშლილი ამიერკავკასიის ფედერაცია. აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს „გასაბჭოების“ შემდეგ 1920—21 წ. „მშრომელი მასების და წითელი არმიის შეერთებული ძალებით“ (ასე სწერს) მოაწყეს ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელსაც არ ეთანხმებოდა ბოლშევიკების ერთი ნაწილი, ე. წ. ნაციონალურ-ფეოდალისტები, რის გამოც ეს უკანასკნელნი „განადგურეს“. შექმნეს რა ამ სამი რესპუბლიკისაგან ფედერაცია, ისეთი ცენტრალისტური აპარატი მოუწყვეს მას, რომ რესპუბლიკები ცარიელზე დასტოვეს ისეთ ნაირად, რომ საბჭოთა კავშირის ბოლშ. ცენტ. კომიტეტს კი შეეზღდა

საბჭოთა კავშირი შესდგება ახალი პროექტის მიხედვით თერთმეტი რესპუბლიკისაგან: — რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა; 2) უკრაინის რესპუბლიკა; 3) ბელორუსის; 4) აზერბეიჯანის; 5) საქართველოს; 6) სომხეთის; 7) ტურკმენის; 8) უზბეკის; 9) ტაჯიკის; 10) კახახის; 11) კირგიზის.

შექმნილი იქნება უმაღლესი საბჭო კავშირისა ორი პალატისაგან: 1. კავშირის საბჭო, 2. ეროვნებათა საბჭო. ორივე პალატა ირჩევა ოთხი წლით. მათ ეკუთვნის საკანონმდებლო ხელისუფლება, და არდადეგების დროს, პრეზიდიუმს. უმაღლესი საბჭო ნიშნავს სახალხო კომისართა საბჭოს.

მოქალაქეებს განურჩევლად სქესისა და რასისა, ეკუთვნით უფლება შრომის, დასვენების, პენსიის, უფასო განათლების და თავისუფალი სარწმუნოების; აგრეთვე თავისუფლება სიტყვის, ბეჭდვის, კრების და სხ. მოქალაქე შეიძლება დატესტებულ იქნას სასამართლოს ან ბრალმდებლის დადგენილებით. უზრუნველყოფილი იქნება ბინისა და მიწისმფლობელობის ხელუხლება.

სადეპუტატო კანდიდატებს არდგენს კომუნისტური პარტია ან პროფ. კავშირები ან სხვა საბჭოთა მთავრობისაგან აღიარებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია და სხ.

**როგორ შეამზებენ ამ კონსტიტუციის ტვილისში**

ტვილისში პარტიატვის კრებზე მ. ტროშკელის დაწვრილებით შეეზო ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციის საკითხს და სთქვა: — ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია სოციალისტური მშენებლობაში და დიდი საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკათა და მხარეთა რიგში ჩადგა. საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი ორდენისანი რესპუბლიკებია, ეს იმიტომ მოხდა, რომ ისინი გაერთიანდნ, სოლიდარულად მუშაობდნ და ერთმანეთს ეხმარებოდნ. ამიერკავკასიის ფედერაციამ სავსებით გადასჭრა მის წინაშე დასახული ყველა ამოცანა და ამიტომ ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაცია სავსებით სწორი და დროული ნაბიჯია მათმე რესპუბლიკათა შემდგომი აყვავების გაზრდისთვის.

დანარჩენები დაწვრილებით ჩერდებიან ამავე საკითხზე და აღნიშნავენ, რომ საქართველოს ბოლშევიკები გაუფრთხილებიან, დაუღალავად განამტკიცებენ და მომავალშიც მტკიცედ დაიცვენ მტერ მეგობრობას აზერბეიჯანის, სომხეთისა და საქართველოს შორის, რომ ისინი განაღმებურებლად ლახვარს ჩასცემენ ნაციონალ-უკლონისტთა ყოველგვარ ცდას. — გამოიყენონ ახალი კონსტიტუცია თავიანთი მიზნებისათვის.

**მისალმებანი**

ბოლშევიკთა ტვილისის ორგანიზაციის აქტივის კრება მისალმებანი აზერბეიჯანის და სომხეთის კომპარტიის ცეკას. ამ მისალმებანი ბევრი ქების შემდეგ ამბობენ, რომ ამიერკავკასიის ფედერაციამ „შეასრულა თავისი უმნიშვნელოვანესი ისტორიული როლი“ და ახლა „საქართველოს ბოლშევიკები მისალმებანი აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკების უშუალოდ შესვლას საბჭოთა კავშირში, რასაც სტალინური კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებს და რაც კიდევ უფრო შე-

**ვაზიჯი, ნაციონალ-სოციალიზმი, თათრი ბიორბი.**

(გაგრძელება)

გამარჯვებულმა ანტანტამ დამარცხებულნი დაამკორა. განძარცვა. გადაარბა. საჭურველი ახადა მას. ხოლო სუსტ მოკავშირეთ არ არცა სწორი ხედრი გამარჯვებისა. გერმანიის ისეთ პირობებზედ მოაწერინეს ხელი, რომ სუვერენობაც აღარ შეარჩინეს და პერანგის-ამირი დასტოვეს. ასტორის იმპერია დაიშალა, შექმნა მის ნანგრევებზედ ახალი ეროვნული სახელმწიფოები, მაგრამ ურთი-ერთის მიწათა წავლევით, ხოლო თვით გერმანული ავსტრია დაბოუკიდებლად გახადეს. მაგრამ ისეთ პირობებში, რომ არც მოკვდეს, არც განიხაროს, მუდამ გამარჯვებულთა ვასალი იყოს და, უფლებაც არა ჰქონდეს დიდი გერმანიის ბუნებრივ ნაწილად გარდაქცევისა. მოკავშირე, გამარჯვებული იტალია კი თითქმის პირში ჩალა-გამოვლებული დასტოვეს. უზარმაზარი პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისის შემქნელი იყო დიდი ომის შემდეგ ჩამოვარდნილი გერმანული წიგნი. ევროპაში განძარცული სახელმწიფოები, უსამართლო განაწილება ტერიტორიათა და ერის ნაწილთა ახლად შექმნილ სახელმწიფოებში, რუსეთისათვის თავისუფლების მიცემა მისგან ჩამოცილებულ ერთა ხელ-ახლა დაპყრობისათვის, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მოსაპოვებობა, ბოლშევიზმთან ჯერ სუსტი ბრძოლა, მერე მასზედ ხელის აღება, შემდეგ ხელის შეწყობა ბოლშევიზმის გამდიდრებისათვის, ბოლოს მისთან კავშირები, უნდობლობა სახელმწიფოთა შორის, და სხვ., ყოველივე ამან ყუმბარაზედ დასვა მთელი ევროპა; მთელი მოსოფლიო, შეიტანა დიდი არე-დარევა ერთა შინაგან ცხოვრებაში და მათ შორის განწყობილებაში. თვით ერთა ლევა, თითქმის ამ განწყობილებათა მოწესრიგებისათვის შექმნილი, გამარჯვებულია და მათ ახალ მოკავშირეთა ლივად გარდაიქცა და-მარცხებულთა ჩაგვირის განსაზღვრება, რასისათვის და-ჩაგრულთა და სხვადაც. ვისთვისაც ხელ-საყრელი არ იყო ასეთი ლიგის წევრობა. დასტოვა იგი.

და მანქანათა ვაგზანით აძლიერება ბოლშევიზმს გერმანიისავე საუბედროდ. გამარჯვებულთაგან განძარცულ ქვეყანას დეპარტონა ათასობით და ათი-ათასობით სექულიანტად, და თვით გამბატონებულ პარტიაც სძარცვედა სახელმწიფოს. უცხო თვისლის ხალხი ისე ადვილად იღებდა გერმანიის მოქალაქის უფლებას, რომ მალე ვალიციელ ებრაელთ მეტი ეთქმოდნთ გერმანიაში, ვიდრე 65 მილიონ გერმანელს. ახალი კონსტიტუცია ვაიმარისა, მისი „თავისუფლებებით“, სრულ დაშლას მოასწავებდა სამართლისა, ზნეობისა და დისციპლინის გარეშე, ხალხი გაირყვნა, გაკრიმინალდა გაპირვებით და უდისციპლინობით, რათ-გან გერმანელი ყზარმაშიაც ვეღარ იღებდა დისციპლინის აღზრდას, მოსაპოვებელი ჰქონდა რა უფლება მხედრობისა, ზნეობისა და დისციპლინის გარეშე, დაიერი ურთი-ერთის, პარლამენტში ჩხუბის მეტი არა იყო რა, მუშტიკობი და ვინება, და არა კანონმდებლობა, და თუ ვაიღებდა რომელიმე კანონი, განგებ იყო ერის მტერთაგან შეთხზული და გაყვანილი ერის ვასათახსიერებლად. და ამ ვასათახსიერებით-სარგებლობდა ბოლშევიკური პროპაგანდა, რომელმაც ბილიონები გადაავლო ბოლშევიზმის მორევში და გერმანია 1932 წელს, 15 წლის ნგრევის შემდეგ ერის მტერთა მიერ, უკვე ბოლშევიზმის უფსკრულში გადასავარდნად იყო განწყობილი. მიუხედავად საფრანგეთის მიერ კონტრიბუციის დათმობისა, დაქერილი ადგილი-აგან ჯარების გაყვანისა და სხვა. — ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც იტალიაში იყო, სუსტმა დემოკრატიულმა რეჟიმმა იქ ევრავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ადგილობრივ მარქსიზმს და დასანგრევად შესულ ბოლშევიზმს. „სოციალური“ რევოლუცია იქაც ომის შემდეგ დამდგარი კრიზისის გამო დაიწყო. 1921 წელს სოფელში გაკომუნისტებული მღვდლები დარბოდნ და ქონების გაყოფას უქდაცვებდნ ხალხს, ხოლო მუშები ფაბრიკებს ებატონებოდნ და ინევენტებს, „ბურჟუაზიულ ინტელიგენციას“, დემოკრატებს ჰყრიდნ და სწავადენ. იტალიაც ბოლშევიზმის უფსკრულს გადასცქეროდა, და სხვა ქვეყნებშიაც ასეთივე სტანურ ნგრევის საქმეს ეწეოდა მარქსიზმი და მიზანს ახწევდა იმისდა მიხედვით, თუ რამდენად გაზარდნა ნიდავს პოლიტიკა და რამდენად ნაკლებ წინააღმდეგობას ხედებოდა მთავრობათაგან და ერთა საზოგადოებრივ ძალთაგან. ხოლო ეს მოსოფლიო საქმე ერ-

თა დანგრევისა მოსკოვის ხელმძღვანელობით სწარმოებდა. და აი აქ ხდება ისეთი რამ, რასაც მოსკოვი არ მოელოდა. თუ რუსეთში ბოლშევიზმმა გაიმარჯვა, ამისი მიზეზი იყო ის, რომ ფრონტზედ დამარცხებული ჯარით რევოლუციონურმა ორგანიზაციებმა ჩაიგდეს ძალა - უფლება ხელში, რათგანაც რუსეთში, უზარმაზარ ტერიტორიაზედ, პრიმიტიული საზოგადოებრივი აგებულების ერში, უკუღმობილად და ეროვნულად შეუფერებელ ხალხში, ძალა არ მოპოვებოდა ბოლშევიკური ძალის საწინააღმდეგვრ და დამამარცხებელი მისი, ევროპა კი სხვა იყო, მის ერთა საზოგადოებრივი აგებულება სხვა — რთული, მკიდრო, მკიერ მიწა-წყალზე — სულ სხვა, შეგნება ეროვნული სხვა, აქ დამარცხდა მოსკოვი, ბოლშევიზმი, და აქ გამოჩნდა, გაიზარდა, შეიქნა ის.ძალა, რომელმაც გერმანიაში და იტალიაში განადგურა მარქსიზმი და მთელ ქვეყანაზედ განაგრძობს ბრძოლას მის სრულიად მოსაპოვებლად.

ერი საზოგადოებრივი ორგანიზმია, ცოცხალი არის, პიროვნების მქონე, ერთი ერი ისე განირჩევა მეორისაგან, როგორც ერთი პიროვნება მეორისაგან, და სიკვდილი ერის ისეთივე დაკარგვაა დიდი საზოგადოებრივი პიროვნებისა, როგორც სიკვდილი ადამიანისა საუკუნედ განსვლალა ამა სოფლითაგან ერთ პიროვნებისა, ერი მართალია სხვა და სხვა ეთნიურ ელემენტთაგან შესდგება, მაგრამ ამ მრავლისაგან საუკუნეთა განმავლობაში განსაკუთრებული სახის ერთი რამ ორგანიზალია წარმოშობილი — თვისი განსაკუთრებული სულიერი, ხასიათით, ენით, ზნე-ჩვეულებით, ერი მისი მიწა-წყალთან არის შეკავშირებული, იგი მისი შვილია. ადგილის ხშირ ცვლათა შემდეგ, ბოლოს იგი ერთ ადგილს არის დამკვიდრებული, შობილი, აღზრდილი, იქ შექმნილა მას ის, რასაც კულტურას უწოდებენ — ხელოვნება, მწერლობა, საზოგადოებრივი ცხოვრება — შესაფერი მისი სისხლისა, ჯიშისა და მისი მშობელი და აღზრდელი მიწისა, იქ ყოფილა მისი თავ-გადასავალიც, ის, რასაც ისტორიას უწოდებენ. მისი მესიერება საუკუნეთა, ათასობით უწევს წარსულში — და ამ წარსულში მომხდარ დიდი ამბით ამავსებ იგი, ან გლობალის დროებით დაცემას თვისი წარსული ცხოვრებისა, სულიერად შეკავშირებულია დიდი ხნითაგან მტერად ქცეულ წინაპრებთან. უსტორიო ერი არ არსებობს — ასეთი ერი მესხიერება დაკარგულ სნულს ემგავნება —, უპირველ-ყოფილად საზოგადოებრივ ჯგუფებს, ევლურთა ურდობსაც კი აქვს თვისი მესხიერება წარსულისა.

და 1931 წ. 31 ოქტომბერს აღმოსავლეთის კავშირის კონსტიტუციის დამუშავების შემდეგ ცენტრალისტური ფედერაციის სამურნო და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში, რამაც მთელ რიგ დარგებში გამოიწვია რესპუბლიკური ორგანიზების გაუმჯობესება“... —

ცხადია, არც ამას შემდეგ შეკვილია არსებითად მდგომარეობა; ყველა საქმე ფედერაციის სეკრეტარიატის ხელში იყო. — შევქმენით ფედერაცია, ამბობს ბ. ბერია, იმიტომ, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკები ეკონომიურად ჩამორჩენილი იყვნენ, 2. ხალხთა შორის მტრობა იყო, 3. ლენინმა და სტალინმა ასე მოისურვეს და ძალიან ჭკვიანურად, ვინაიდან, მას შემდეგ რაც მოესპეთ უკლონისტები, დიდ გამარჯვებთ მივალყიეთ, ანუ მისივე სიტყვებით: — „მხოლოდ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნითა და განმტკიცებით შესძლეს ამ.კავკასიის ბოლშევიკებმა სოციალისტური მშენებლობის ამ უდიდეს წარმატებათა მიღწევა ამ.კავკ. რესპუბლიკებში, რომლებიც დღეს გვაქვს და რომლებსათვისაც ამ.კავკ. რესპუბლიკები პარტიამ და მთავრობამ ლენინის ორდენებით დააჯილდოვეს“... !!! შეხედეთ: რა მომხდარა!

გამარჯვებანი და მიღწევანი კი ის არიან ბ. ბერიას სიტყვით, რომ ამ.კავკ. მურნეობა სოციალისტურად მოეწყო, შეიქმნა მლაკეობი ინდუსტრია, აშენდა ქარხნები, — უდიდესი გამარჯვებები მოპოვებული სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში, გლეხურ მეურნეობათა დაახლოვებით 80 პროც. გაერთიანებულია კოლმეურნეობებში... ერთი სიტყვით: გაიფურჩქნა და აყვავდა კავკასიის ეკონომიკა! რასაკვირველია ხალხთა აყვავებობა; ამას შემდეგ რაღა იყო საჭირო? — დავუდლოთ ყური: — „ამ.კავკ. რესპ. სამურნე-ეკონომიური ურთიერთობანი დღეს აღარ განისაზღვრებიან მარტო ფედერაციის შიგნით არსებულ ურთიერთობებით, ამ.კავკ. რესპ. საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის, თავიანთი მხარდ მეურნეობის პირობების გამო, ახლა ფართო სამურნეო კავშირი აქვთ მთელი საბჭოთა კავშირის მრავალ მხარესთან და რესპუბლიკისთან, ვაფართოვდა და განმტკიცდა საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის უშუალო კულტურული კავშირიც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან... სოც. მშენებლობის გამარჯვებანი ნაციონალურ რესპუბლიკებში ამჟამად პარტიის წინაშე აყენებდნ ახალ ამოცანებს ნაციონალურ საკითხის დარგში, ნაციონალურ რესპუბლიკებში შექმნილია მრეწველობა, მასში გამოიზარდნ მუშათა კადრები, რევოლუციამდე ამ. კავკ. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში 67.200 კაცი იყო, ხოლო 1936 წლის 1 იანვრისათვის — 312.200 კაცი, ნაციონალურ რესპუბლიკებში გახლხობა დღეს საკულტურული ყოშილებებისა და საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული კომიუნურნ გლეხობა“... ამიტომ დავშალეთ ამ.კავკ. ფედერაცია და საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი ცალკე რესპუბლიკებად შეიყვანეთ საბჭოთა კავშირში, იმას ვინ-ლა ჰკითხულობს — სურდათ თუ არა მათ საერთოდ ამ კავშირში შესვლა! ბ. ბერია წინდაწინვე ჯავრდება და სტუქსავს, უკლონისტებს — დაიწყებენ ჩუმმუდმად რალაკების ლაყობას, ჩვენ მართალი ვიყავით, — არაფერი მართალი არ იყენ არც მაშინ და არ არიან ახლაც, გაჩუმდით, —

ერის ორგანიზმში, მის შემადგენელ პიროვნებათ, რასაკვირველია, საკუთარი ცხოვრება, საკუთარი ინტერესები აქვს, უთანასწორობას ადამიანთა შორის ჰხადებს უთანასწორობა თვით ადამიანთა ძალისა და ნიჭისა და აგრეთვე განსაკუთრებული საზოგადოებრივი აგებულება ერისა, ისტორიულად შექმნილი. ამიტომ ეგრედ-წოდებული კლასთა ბრძოლა ყოველთვის ყოფილა ერთა წინაშე და უმწვევსი კაპიტალისტური საზოგადოების მქონე ერებს ხვდა წილად, მაგრამ ეს კლასთა ბრძოლა მხოლოდ რევოლუციებს იწყევდა, იწყევდა გარდაქმნას საზოგადოებრივი აგებულებისა, ხოლო ვერა ჰკლავდა თვით ერის. თვით დიდი რევოლუციები ყო ეტოდ ერისათვის, თუ ხელად საბოლოოდ ახალი უკეთესი ცხოვრების შემქნელი იყო, მეორე მხრით იყო დიდი უბედურება ერისათვის, უდიდესი მსხვერპლი, ხოლო უკანასკნელი ბოლშევიკური რევოლუცია რუსეთში და ის, რასაც ბოლშევიკებულ რუსეთი უშაღმებს კულტურულ კატიბრობას, არის მხოლოდ განადგურება ერთა და მის კულტურათა, რათ-განაც მარქსისტული მიმართვა კლასთა ბრძოლისა და რევოლუციისა ერის საუკეთესო ნაწილის ამოწყვეტას, მისი სახეობის დაკარგვა და საერთაშორისო უსახურობის განხორციელებას ნიშნავს, ვაგატონებას იმ ხნელ საერთაშორისო ძალთა, რომელთაც არც აქვს და არც სწამსთ არც სამშობლო, არც მიწა, არც ერი, ხოლო ამათ გარეშე არ არის არც ბედნიერება ადამიანისა და არც კულტურული ცხოვრება და შემოქმედება. ცნენი ქრის გარეშე არიდეს არსებულან და შეუფლებელნი არიან. — ერის წიაღში არსებულნი სოციალურნი წინააღმდეგობანი უნდა გადაწყდნ არა კლასთა ბრძოლით და ერთი კლასის მეორეზედ გაბატონებით, დიქტატურით, რაც გამობიხატება ყოველთვის ერთი პარტიული ჯგუფის, მოძალადეთა უსაზღვრო მტარვლობით, არამედ თვით ერის ყველა ძალთა შერკებით და განსაზღვრული მიზნისაკენ მიმართვით, რომ საზოგ. შინაგანი წინააღმდეგობანი მოისპონ. კლასთა თანამშრომლობა თვით ერის ორგანიზების ხელმძღვანელობით, ეკონომიური და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგება მთელი ერის მიმართვით და ენერგიით, მთელი ერისა და მის ყველა შემადგენელ ნაწილთა ინტერესების მიხედვით, აი რამ უნდა დაიქირას კლასთა ბრძოლის ადგილი და რამ უნდა მისცეს მიმართვულად სოციალურ რევოლუციას, რევოლუციის შემოქმედებით ეროვნული აღორძინებისა და არა სისხლის ღვრისა, განადგურებისა, ტერიტორიისა და



ბრძანებს იგი: — „განა საჭიროა ლაპარაკი იმაზე, რომ სრული სისულელე და ანტიპარტულია ყოფილ ნაციონალ-უკლონისტთა ასეთი ლაპარაკი?“

ჩვენ კეთილსინდისიერად ვაძიებთ ბ. ბერიას წერილის შინაარსს. რა ვაივით? — ჩვენ კი ვი ვაივით, რომ აქ, ამ წერილში ნამდვილი მიზეზი ფედერაციის დაშლის არაა, მიზეზი სხვაგანაა. — მოსკოვს ასეთი ნაბიჯი დასწორდა სრული, აბსოლუტური ცენტრალიზაციისათვის საგარეო საფრთხის წინაშე და ეროვნულად მზარდი რესპუბლიკების თვალის ასახვევად...

**საპარტიზმოს კონსტიტუციისათვის**

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა 25 ივნისის სხდომაზე დაადგინა: ს.ს.რ.-ის კავშირის 11 ივნისის მოწონებული ს.ს.რ.-ის კონსტიტუციის პროექტის საფუძველზე საქართველოს ს.ს.რ.-ის კონსტიტუციის პროექტის შესამუშავებლად მოწყობილ იქნეს კომისია და აღნიშნულმა კომისიამ კონსტიტუციის პროექტი წარუდგინოს საქართველოს ცეკას პრეზიდენტს არა უგვიანეს 1936 წ. აგვისტოს 20-სა

**სურათები და განცხადება**

იყო 1923 წელი. თბილისში, ალბად თენდებოდა. თვით ჩვენი საკანი და პირდაპირ კიბე, რომლითაც ამოჰყავდათ ხოლმე **ვანაშლინი**... ისე იყო განათებული ელექტრონით, რომ ვერ ვარჩევდით განთიადის პირს.

ალბად თენდებოდა, რადგან დღის სინათლით, არც შუა ღამისას **ისინი** არ მიჰყავდათ ხოლმე.

ჩვენ ვიყავით საკანში შვიდნი. ერთი რუსი და ექვსი ქართველი.

ღამით შემზარავი სიჩუმე იყო. ვინც იმ ჯურღმულში ხანგრძლივად ნამყოფია, მას აქვს წინაგრძობა ასეთი ღამისა. იყო სხვა ნიშანიც: განთიადისას სამი საათიდან დაიწყეს ხმადაბლად გვარების ძახილი: — ტაკოი ტო - შვილი ნა დაპროს!

ჩვენ ვგრძნობდით: **ისინი** არ მიჰყავდათ „ნა დაპროს“. გარდა ამისა, მორიგე ზედაშენებებს და ყველა მორიგეს უბრალოდ თვალეზი. მოქმედებდა კოკაინი; და პირიდან არაყის სუნი ამოდიოდათ; ყველა ეს იმის ნიშანი იყო, რომ ეს ღამეც, ეს განთიადიც იმ ღამე და იმ განთიადთანაა. რომელიც ჩვენ განვიციდა მრავალი...

ჩვენ ის ღამეც კი განვიცადეთ, როცა ბუმბერაზი მამულიშვილები: დიდი კოტე, დიდი ვარდენი და ... გოგი... პო, და ჩვენ ვიყავით შვიდნი.

პაწივებს ძინათ, თუმც კაციცინას ცალი თვალი და ყური ფხიზლად ჰქონდა. მათი მრავალტანჯული დედა შვილების სასთუმლად იჯდა: დაარჯობდა შვილებს... და მათ ძილს, რუსის ქალს მაგრად ეძინა და ძილში ჰგზავნიდა რუსულ ვინებას ბუტბუტებდა. „დიდი ბაბულისა“ (სულხანიშვილის ასული) კუთხეში იჯდა, სახე გაფითრებული, ნიდაყვები მუხლებზე ჰქონდა დაყრდნობილი და ხელის გულს ნიკაზე მიჰკეროდა, რომ ყბის კანკალი შეეჩერებინა. თან გაფართოებული თვალებით ჩვენ შემოგვიჩერებოდა.

ნეტა ვიყო მხატვარი, ფერატებით ან კალმით რომ დავხატო ან ავსწერო იმ თვალების ენა, ან გამოიმეტველები იმ წუთში!

„პატარა ბაბულისა“ (ისიც სულხანიშვილის ასული) და მე ფანჯარაზე ვისხედით და პირდაპირ კამერას მივსჩერებოდით. საშინელი იყო ის პირლია კიბე, ჩვენ კი მაინც მივჩერებოდით, რადგან უფრო საშინელი იყო უკან მოხედვა; მიხედავით, სადაც დედა პირდაპირ იჯდა; საცა პაწივებს ეძინათ და მოსწინა და „დიდი ბაბულისა“ თვალეზი! ეზოში იდგა და ილოდებოდა ორი თუ სამი ცხვარი, რომელიც ეკუთვნოდა ადგილობრივ ზედაშენებელს. იმ ღამით მორიგე რუსს.

სიჩუმე! მთაწმიდაში იყავილა მამაშობა. წყნარად **მოვიდა** და კიბის ახლო დადგა „გრუზოვიკი“. მე ვამბობ: მოვიდა და დადგა, რადგან დღემდე ჩემს გარეშად ის „გრუზოვიკი“ არ იყო უსულყო საგანი. ... და მოვიდა **მიძღვნი** ზედაშენებელი. ისევ სიჩუმე! ის საშინელი სიჩუმე, რომელიც შესაძლოა მხოლოდ ჯოჯოხეთში, ან მხოლოდ იქ..

სიჩუმე იმ შენობაში, სადაც ასეული ქართველის სულს ებრძვიან არ-ყოფნის მოლოდინით, მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რომ მათ უნდათ შეინარჩუნონ ეროვნული უფლება. — უცებ გაიშა „ლონტისა“ (ბალანჩიავის) საშინელი გინება რუსულად და მუქარა ქართულად. ეს იმის მაჩვენებელია, რომ **ისინი** მოჰყავდათ. კიბეზე ამოვიდა ადგილობრივი ზედაშენებელი. აგერ **ისინიც!** დაბორკილები ნელ-ნელა ამოდიან. ერთი, ორი! ხუთი! ათი! ოცდაათი!... ჩვენებურებს თავი მაღლა უჭირავთ... შეგვაძინეს. ხელები გაკრული აქვთ. არას გვეძახიან. გვიფრთხილდებიან ისევ ჩვენ! გვეფრთხილდებიან თვალეზით და ყოჩაღად მიდიან „გრუზოვიკისაკენ“.

ორპირად იძახიან მათ გვარებს. და „ადგილობრივის“ გვიღიან **ისინი** თვლით გადადიან „მიძღვნი“ განკარგულებაში. — ჩაჩაშვილი — დესია; მაკაშვილი — დედაცატ; ცინცაღუ — დედაცატ პატი; ანანიაშვილი — ტრიცატ; ტრიცატადინ — პერანგოვო ლიზა! (გორელი სიმეხი ასული).

სამი საათის წინ ჩვენთან იყო! თექვსმეტი წლის გოგონა! ნაწნავები აღარა აქვს! აღარც ლამაზი ტუჩები უჩანს. ვეღარ მიღის. მიათრევს! ...

„პატარა ბაბულისა“ ფრჩხილები, რომელთა ნიშანი დღემდე მაქვს მარცხენა მკაჯზე, ღრმად იჭრებოდა. თანდათან ღრმად იჭრებოდა ჩემს სხეულში... .. საშინელი „გრუზოვიკი“ დაიძრა. გავიდა ჭიშკარში. დაევსა დაღმარული, სასურთალოსაკენ. ისევ სიჩუმე! ხოლო მოვეცხმა „ადგილობრივის“ ხმა: პოსლუშაი, გდე დელის მი ბარანი? სლუქაინო ტი იხ ნე პრიჩიტალ ტრიცატებარში? ორგემ გულთან დაიჭიხვინა. პირი მოვარიდე, მიგბრუნდი და შეეხედე უარესს: — ბაბულისა თვალეზს, მუქარით ვაშტერებულთ!

**საზრახველის ვანაშლი**

სევდიანი ვუმზერ ვადმონერგულ ვაზებს, სათუთ და ნახებს, რომ სტირიან მუდამ: „რად ვადმონერგოვს ამ უცხო მხარეს? საქართველოსათვის არს შესადარი ამ ქვეყნის დარი? ან დღე, ღამე, წყალი, პაური და... რამ ვაგვიტაქ! ან იქაურ ხალხს სუფრა და ღვინო, ტეხილი ღლინი ვანაცვალთ კვირს, მალთ მამლის ყვირს? ოჰ, სამშობლო ტეხილო! რად ვაგვიშორე შენ მზღვართა ყორე? ნუ თუ ისე მოგვედეთ და დავიძარხოთ, რომ ვერც კი ვნახოთ? ვიერ ავიტოლო ჩვენ ეს რისხვია? ვი ჩვენ, ვაი!“

და ოცნების სენი ეტლებით ფიქრის შორისკენ მიჰქრის, დაუღვევლთ მისდევს ღრუბლებსა და გზებს და ობოლ ვაზებს მოისვენებს კალთით, რომ ძველ მამულში ჩააკრას გულში დაკარგულნი შვილნი აწ მოხუც მშობელთ, ცრემლ-მუშურობებით.

**აბო კახი**

პაწივებს ელვიძათ, და ციციას თვალეზი მეტყველებდნენ, რომ მან ყველაფერი იცის. პაწია ტუჩები, რომელიც მუდამ ზიზხსა და მუქარას გამოხატავდა, კიდევ უფრო მოეცინა. და რატომღაც მიინარე რუსს და შტერებოდა. ეტყობოდა, რომ მის პაწია თავში მოგროვოდა და ლაგდებოდა დაბრძნილი ადამიანის აზრები და გულისტქვანი. დედა ლოცულობდა თვალ-ცრემლიანი... ამათაც მოვარიდე თვალი. მიგბრუნდი და უნებურად შეეხედე რუსს. ისევ ძინა.. და ისევ იგინებოდა! და ჩავლუნე თავი. მეტი გასახედი არსაით იყო!

**ნინო დადიანისა**

პარიზი. 24—6—36.

**მამსიხ გორაკი და რუსის ხალხი**

(შესავალი) **ეროვნული**

თეთრი გორაკის ქართული სხივალის ქართული მეტად გაურისხდა იმისთვის, რომ მან ფარდა ახადა მავნე და ეროვნულად ყოვლად დამაზიანებელი რუსული მწერლობისა და აზროვნების ვავლენას ქართულ საზოგადოებაზე და მის სულიერ შინაარსზე, ადრინდელე რამოდენჯერმე თ. გიმი იყო მოთავსებული ნიმუშები სწორედ რუსული მწერლობიდან და თვით რუსი მწერლების აზრი რუსის ხალხზე. ეს ნიმუში არ არის ზედმეტი, რათა ახალგაზრდობამ დაინახოს ზოგიერთი მიზეზი იმ ამბებისა, რომელიც ხდებოდა ახლო წარსულში, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში და დღესაც გრძელდება. ჩვენ გვყავს სახეში ის ახალგაზრდობა, რომელიც, საბედნიეროდ, ასცდა ქართველისათვის მავნე რუსული სკოლისა და რუსული ლიტერატურის ვავლენას. ძალიან ძვირად, მაგრამ ავტო-ევგერ კიდევ შეხვდებით რუსულ კულტურის დამცველს და დედა მათ საპასუხოდ იცოდნენ ახალგაზრდებმა, რომ თვით რუსის მწერლების აზრსა, მათ ნათქვამს და მათ ნარკვევს აწოდებს თეთრი გორაკი და არა საკუთარი სურვილით გამოგონებულს.

ჩვენ დავიწყეთ ათი წლის წინად და არც შეგვიწყებოდა ბრძოლას რუსული ვავლენის წინააღმდეგ, რათგან ქართველი ერის გაჯანსაღება სავესებით მხოლოდ ამით შეიძლება და ყოველ ექვს ვარეშეა, რომ ქართველი ერი განიკურნება ამ საზიზხარო და მავნე ვავლენისაგან, ვაგვიჩვენება მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი სულიერი ვითარებით რუსეთს და რუსულს. ეს პროცესი დაწყებულია და დღითი დღე ვითარდება. მოვესწრებით იმ დღესაც, როდესაც მიზანი სავესებით მიღწეულ იქნება. სამშობლოს სიყვარულს და მის სამსახურს ქართველს ასწავლის ქართველი ერის წამების ისტორია და ქართველ გმირთა ცხოვრება, ჩვენი ქართველი ფაქიზი, მაღალი გრძნობების მატარებელი მწერლობა და არა რუსული „მუქი-კურ-ბოსიკური“ სულის კვეთება. იგი უნდა ამოვარდეს ძირიანფესვიანად ქართველის ენიდან, გონებიდან, შეგნებებიდან. — რუსის მბორავი, მოხეტიალე, დაბალი სული უნდა გააქროს საქართველოში ახალმა თაობამ — ეს არის მისი მისია, ისტორიის ნაბრძანები.

ქვემო-დაბეჭდილი არის თარგმანი ცნობილ რუს მწერალ ეკატერინე კუსკოვას წერილისა, რომელიც მან მოათავსა „სოფემანინია ზაპისკი“-ში, ნომ. 36. ამ წერილს სათაურად აქვს: — „ობეზკრილენნი სოკოლ“ — მაქსიმ გორაკის 35 წლის მიღწევათების გამო.

ეს წერილი თავისთავადაც დროულია მაქსიმ გორაკის გარდაცვალების გამოც, რომელსაც მთელი რუსეთი დიდი გლოვით შეხვდა.

**მეგობარი**

**ფრთხილად ეწვიე**

გორაკი არასოდეს ყოფილა მხოლოდ მხატვარი. ის ყოველთვის ეროვდა აქტიურად საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჰქონდა მასზე თავისი აზრი და მოქმედება, როგორც

მტარვალობისა. — სახელმწიფო — ორგანიზაცია ერის წინაგანი ცხოვრების ბევრ დარგთა და აგრეთვე ერის თავდაცვისა. ამიტომ მისი ორგანოები არ უნდა იყვნენ დანებრებულნი. ბატონობის მწყურვალე პოლიტიკურ ჯგუფთა, პარტიათა ხელში, რომელიც ბოლოს და ბოლოს სხვა და სხვა ურთი-ერთის მოწინააღმდეგე ნივთიერ ინტერესთა მქონე ხალხის სასარგებლოდ და ბრძანებით მოქმედებენ. არამედ სახელმწიფოს მოქმედება უნდა იყოს ნამდვილი, მიზან-შეწონილი მოწესრიგება და ხელმძღვანელობა ერის ცხოვრებისა და ზრუნვა მთელი ერის, და ყოველი მისი წევრის კეთილდღეობისათვის. დღევანდელი დემოკრატიული სისტემა ფინანსისტთა და კაპიტალისტთა სასახურში ყოფი პოლიტიკურ პარტიათა გამოსაყენებელი სისტემაა. ხოლო პრინციპიალურად მათი მოწინააღმდეგე მარქსიზმი მათთან კავშირსაც არ ერიდება ერთა დასანგრევად. იგი სარგებლობს დემოკრატიული სისტემით, რომ ბოლოს და ბოლოს ან უმეტესობა მოიპოვოს პარლამენტებში, ან და ძალით დაეპატრონოს დანგრეულ ქვეყანას და აღმართოს თვისი მტარვალობის ტახტი. დემოკრატიული სისტემაში არჩევნები მოტყუება ხალხისა. მოსყიდვითა და ინტრიგებით სწარმოებს იგი უმთავრესად. უმეტესობა წარმომადგენელთა პარლამენტებში არიდეს წარმომადგენს ხალხის ნამდვილ ინტერესებს, არამედ ოგინი არიან პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები, რომელნიც მათ საკუთარ და მათ ზურგს უკან მდგარ ძლიერთა ინტერესებს წარმოადგენენ. ეგრედ წოდებული კონსტიტუციური თავისუფლებანი — პრესისა, სიტყვისა და სხვ. — გადაიქცენ კრიმინალურად, უსინდისოთა და ყველაფრის დამრღვევთა თავისუფლებად, რომ ბოლოს და ბოლოს ერები გახრწანან და მათ დარღვეულ ორგანიზმებს ადვილად დაეპატრონონ, დემოკრატიულ ქვეყნებში დღეს ძვირად ნახავს კაცი ვავლენიან ვაზნის, რომ რომელიმე დასურ ჯგუფის ინტერესებს არ ემსახურებოდეს, და ასე, დაუსრულებელი: მთელი ერის ცხოვრება ქაოსის, აღევლებული ზღვა ვნებათა, ინტერესთა წინააღმდეგობისა, განუსაზღვრელი სიმდიდრე ერთთა და განუსაზღვრელი სიღარიბე მეორეთა, განმხადებულ რაზმები ურთი-ერთის მებრძოლი საჭურვლოთ, სიძულვილით, კლვა — ერი, რომლის ნაწილები მუდამ დრღინია ურთი-ერთს, ერთობ კი შეპყრობილი საშინელი სენით, ათასი სახის ბაკილის შხამით დაავადებული და დასნეულებული!

ერთი ეროვნული ნებისყოფა, არა პარტიები, არამედ

ერთი ეროვნული ორგანიზაცია, ან „პარტია“, თუ შეიძლება პარტია ეწოდოს ასეთ ორგანიზაციას, რომელიც განმაცხადებელია ამ ერთი ეროვნული ნების — ყოფისა, შერიგება მოწინააღმდეგე ელემენტთა და მათ ინტერესთა ერის წიაღში, ერთი წინამძღოლი ერისა, არა დიქტატორი, არამედ მზრუნველი, მომვლელი, პატრონი მისი, ერის სურვილით წინამძღოლად გამხდარი, როგორც მისი გულის მესიღებულე და მის მიერ პატივ-დებული და ყვარებული; მთავრობა არა პარლამენტის უმეტესობის მიერ ამორჩეული და პარტიათა კომბინაციებით დღეს მომქმედი და ხვალ გადადებული, არამედ ერის წინაშე ნამდვილი პასუხის-მგებელი, ხანგრძლივი უფლებებითა და მოვალეობით აღტყვევებული, რომ ყოველი წევრიმანაც კი ერის ცხოვრებისა მოაწესრიგოს მთელი ერისა და მისი ყველა ნაწილთა საკეთილდღეოდ, შეგნება იმ მსხვერპლის აუცილებლობისა, რომელიც უნდა გაიღოს ერის ყოველმა წევრმა საერთო, დიდ და ძნელ საკითხთა გადაწყვეტისას, ერის ნაწილთა შერიგება და არა კლასობი და მათი ბრძოლა, მთელი ერის ორგანიზაცია მისი ხელობისა და მდგომარეობის მიხედვით, დისციპლინა და შეგნებული მორჩილება ხელმძღვანელთა და ბოლოს ერთი ხელმძღვანელის წინაშე, რომელიც სწორედ ერის იდეის განმხორციელებელია, მის მიზნთა მიხედვას ემსახურება — აი რა მოძღვრება აღმართა მარქსიზმის წინააღმდეგე საშინელის ძალით და მის მოკავშირე დემოკრატიასთან, ბნელ საერთაშორისო ძალებთან ერთად ძირიან-ფესვიანად ამოავდო იგინი ჯერი იმ ქვეყნებში, სადაც ერის დამარღვევლმა მოძღვრებამ და სისტემამ ქვეყანა ბოლშევიზმს მიაყენა კარზე: იტალიაში და გერმანიაში.

ევროპის უძველესი კულტურის ხალხს, იტალიის ერს დიდ წინამძღოლად მუსსოლინი მოველინა. მუსსოლინის, რომელიც სულლასა და ცეზარის სიდიდეს აერთებს თვის პიროვნებაში, მთელი ერი ვაჟყვა, როდესაც მან მას განახლებისათვის, ნამდვილი ეროვნული ცხოვრების შექმნისათვის მოუწოდა. მისი „ლაშქრობა“ რომზედ მტარვალის ძალ-მიმგრება კი არ იყო, არამედ ერის ნებისყოფის უდიდესი აქტი, და ცამეტი წლის ხელმძღვანელობით ერისა, მუსსოლინიმ შექმნა ის იტალია, რომელსაც დღეს ვხვდებით: ვაერთიანებულსა და ძლიერს, ნამდვილ დიდ ეროვნულ ორგანიზმს, რომლის ყველა ორგანო ნორმალურ ფუნქციას აღასრულებს, ჯან-მრთელს, განკურნებულს ძველ შინაგან სოციალურ და სულიერ სნეულებათაგან, დიდი მიხნებითა და იმედებით აღსავსეს. —

გერმანიაში ბრძოლა ეროვნული იდეის განხორციელებისათვის აგრეთვე ომის შემდეგ დაიწყო. მაგრამ ვაგრძელდა უფრო დიდხანს ვიდრე იტალიაში, რათგანაც გერმანიის მდგომარეობა ვაცილებით უფრო ცუდი იყო, ვიდრე იტალიისა. ხოლო თუ იტალიის ერს წინამძღოლად მუსსოლინი მოველინა, სულს-ცეზარი, გერმანელ ერს მოველინა დიდი წინასწარ - ბრძველი, უდიდესი გულთ-მისანი, მესიღებულე ერისა, რომელსაც წინასწარ მეტყველებისა და გულთ-მისნობის შესაფერისი ვინაობა ძალცა და პოლიტიკური გენიოსობაც აღმოაჩნდა, — ადოლფ ჰიტლერი. შეიდი კაცით დაწყებულ მის საქმეს ბოლოს მოლონები მიემზრო გერმანელთა და ერა მოზღვავებულმა ტალღებმა წაუკა გერმანიაშიც პარქსიზმი, დემოკრატია, ურთი-ერთის მკვლელობა და ერის დამაჯგუფებელი პარტიები, ვაიმარის კონსტიტუცია, ქაოს ვაეტანა ყოველივე ესე და ვანკურნა ერი არა ერთი საწაღვ-საგან, რომლითაც სწამლავდა ომითა და ზავის შედეგებით ღონე-მიხილე ეროვნულ ორგანიზმს გერმანიისას უსწარმავარი ხრევა შინაურ და გარეთან შემოთრულ გ:ლა-ლებულთა, აღვირ-ახსნილთა, უსინდისოთა და უხნეითა, მახინჯთა და უჯიშოთა. დღეს, ჰიტლერის სამი წლის ხელ-მძღვანელობით, გერმანიის ერი პირველად არის პოლიტიკურად სავესებით ვაერთიანებული თვის ისტორიის განმავლობაში, გერმანული ეროვნული ორგანიზმიც გამრთლებული და განკურნებული, ერთი ნების — ყოფის მქონე და მიზან-შეწონილად მომქმედი ახალი ცხოვრების შესაქმნელად. ჰიტლერმა გერმანიის ერი არა მარტო შინაგანად განწმინდა, არამედ აგრეთვე ვანთავისუფლა ზავის ბორკილებიდან და შეუქმნა მას ძალი თავის დაცივისა, აღადგინა მისი პატივი ერთა შორის; დღეს მას დამარცხებულად და საბურთალოდ ვერავინ შეხვადეს და არც არავინა პრაქსავს!

კლასთა ბრძოლა, პარტიათა ბრძოლა და კომბინაციები, მუშათა გამორეკა ქარხნებიდან, ან მუშათა ვაფიცები ქარხნის პატრონთა წინააღმდეგ, და სხვა ანგვარი, აღარ არსებობს იტალიაში და გერმანიაში, არამედ უზარმაზარი ორგანიზაციები ყველა მწარმოებელთა, საქმის ინიციატორთა და თავითა და ხელით მუშაკთა ერთად. მიზან-შეწონილი ეკონომიური მოქმედებისათვის მთელი ერისა და წარმოების ყველა მონაწილეთა სასარგებლოდ, მეურნეობის ყველა დარგში, და მათ საკუთარ ორგანოთა და უმაღლეს ორგანოთა ხელ-მძღვანელობა სამეურნეო მოქმედებისა და გადაწყვეტა ყველა საკითხთა, რომელიც

შრომასა და მშრომელს და საზღვადო საქმეს შეეხება. კერძო საკუთრება არ არის დღეს რაღაც აბსოლუტურად ხელ-შეუხებელი, საგანი სპეკულაციისა და ბოროტად გამოყენებისა, არამედ სტიმული საწეურნეო მოქმედებისა, და ერს, საზოგადოებას შეუძლია ბევრი სამეურნეო დარგის განსაზოგადობრივება, ხოლო მესაკუთრის განძარკვით კი არა, არამედ მისთვის განსაკუთრებითი ფუნქციის მიხედვით სამეურნეო მოქმედებაში.


ძველი პარლამენტების მაგივრად, რომელიც ბუდე იყო პარტიათა ინტრიგებისა, ერის რეალურ ინტერესთა წარმომადგენლობა უმაღლეს ეროვნულ შესაკრებელში; ძველი მთავრობის მაგივრად, რომელიც პარტიათა კომბინაციებისაგან იყო დასმული, პასუხის-მგებელი საქმის ხალხი, საუკეთესონი ერისა ცოდნით, ნიჭითა და ქუთით, და ერთი ხელ-მძღვანელი ერისა, უმაღლესი წარმომადგენელი მისი და განმხორციელებელი მისი ნების-ყოფისა და მის მიზანთა; პარტიათა ურთი-ერთის წინააღმდეგ ბრძოლისა და მათი მორიგი ბატონობის ნაცვლად, თვით ერის ბატონობა და განმგებლობა საკუთარი ცხოვრებისა და ბედისა — აი რა განხორციელდა კიდევ იტალიაში და გერმანიაში.

ეროვნული ერთობა, შიგნით პოლიტიკური სრული ვაერთიანება, დაცვა და ვაუმჯობესება ჯიშისა, რათგანაც უჯიშოთა და გადაგვარებულს თავის დღეში არა შეუქმნია რა, აღვეთა რა სნეულთა და მახინჯთა ჩამომავლობის შექმნისა ერის ვასამრთელელებად, აღზრდა ახალგაზრდობისა კეთილშობილ ეროვნულ ტრადიციათა, ეროვნულ იდეის, ეროვნულ იდეალთა საფუძველზედ, მეცნიერება, ხელოვნება, მწერლობა, პრესისა და სხვ. ერისა და ადამიანის სასარგებლოდ, მათ უმშვენიერეს იდეალთა სამსახურისათვის — აი კიდევ სხვა უმთავრესი საზრუნავი ერის ხელ-მძღვანელობისა, და ასე, დაუსრულებელი: — უმუშევრობის მოსპობა, უზრუნველყოფა შიმშილისაგან და სიცივისაგან, რასის განწმენდა კრიმინალთაგან და მავნე უცხო „თესლისაგან“, ახალი, ეროვნულ იდეაზედ შეფიცული მხედრობის შექმნა, ახალი ტიპის პარტიოტთა აღზრდა და სხვ.

(დასასრული შემდეგ)

**მ. წერეთელი**

**გამოიწერეთ**  
**ეროვნული ერთობის მოქადაგე და დამცველი**  
**განეთი თეთრი გორაკი.**



პოლიტიკური მოღვაწე. ყველა მისი თხზულება გამსჭვალულია მქადაგებლობით და ცხოვრების სწავლებით. მის მასწავლებლობაში, მისი იდეის კომპლექსში უსათუოდ გამოკრთის რუსული სული რევოლუციის წინა-ხანებისა. მასში აგრეთვე შეიძლება პოვნა იმ მოვლენების ახსნისა, რომელიც შემდეგ გადაიშალა დიდ რუსულ „ჯანყში“ (ბუნტში) რევოლუციაში. და მთავარი თემა მისი ნაწარმოების და მასწავლებლობის არის — ხალხი, ინტელიგენცია, თავისთავად ცხოვრება საუცხოვო. იცხოვრო ყოველ უფრედით „შენი არსებობა“, შეერთო ბუნებას, ისინი თუ თავისუფლად, გიყვარდეს ქალი და თრთოდე ალტაცებით ბუნების საიდუმლო პარამონის წინაშე. დაე ღამე ბნელი, თითქმის შავი, დაეშვას სულ დაბლა და დაბლა მიწაზე — ოღონდ სუნთქავდე, ქორფა და ნოყიერ ჰაერს, ან გაზაფხულზე ვოლავდე ნაივით, როდესაც სიცოცხლე იფურჩქნება, იესებო ყოველი ყლორტი ცხოველყოფილ ვერცხვად, — ხორცს — სცივა და სულში კი მყუდრო სიამე და იმედების გამოუცნობი ყლორტები... სამეურია გაზაფხული... ან დახვალა მზისა, აკამყაშებული მრავალი ფერადებით — დახვალა არა სასუფამოდ: ღვთაებრივი წყარო სინათლისა, შემქმნელი ცხოვრების, კვლავ ვადავებდი მიძინებულ დედამიწას სამხიარულო სხივებით აღმოსავლსა. დიან, მყუდროა, ღამაში, ნოყიერი. შევნიერი ცხოვრება ამ ქვეყნად... და როდესაც ადამიანი პირისპირ ხვდება ამ ღვთაებრივ მადლს — ბუნებას — უმფთველად ბედნიერია — ამისი სხეულის პატარა ნაწილი. „მე სული მიდნება მზის დასვლის შემხედვარეს“, ეუბნება ვასილი მალეას. სტკებდა რა ბუნებით, გორკის ამაყ ადამიანს არ ძალუძს თავისი ქუთი ჩასწვდეს მის საიდუმლოებას. ბუნების შემოქმედების დიად საიდუმლოებას, მიუწვდომელს და გაუგებარს ადამიანის გონებისათვის, ბნელი და უძრავი ტყის ღუმელიც ანხვებს. — სადაც ყოველი ხე თითქო განსაკუთრებული ყურმხველობით ყურს უდგებს რაღაცას. — ფიქრობს მღელვარებას ზღვისას ან მტრედისფერ ბურუსს, ველებიან ცამდე რომ აღწევდეს... დაუსრულებელ ბედნიერების გრძნობის, მყუდროებისა და სიმშვიდის გრძნობას შეაგებებინებს ხოლმე ბუნება ადამიანს, მხოლოდ მაშინდეს, სანამ ადამიანი არ ხედავს თავის ცხოვრებას, ადამიანის ცხოვრებას; სანამ არ დაუფიქრდება მას, ამ ადამიანურ ცხოვრებას, რომელიც მანვე — ადამიანმა — შექმნა, მაშინ ყველაფერი იცვლება... ბედნიერია ის, ვისაც არა აქვს „ცნება“, ვინც თავის ბუნებობაში წააგვს ჩიტს, ვინც იღებს ცხოვრე-

ბას უფიქროთ, უბრალოდ, ვისაც არ უჩიკრიკტებს აზრები მისი შინაარსის, მისი მიზნის შეცნობისა — ადამიანისათვის, კაცობრიობისათვის... მაგრამ კოტა ასეთი უფულო ჩიტები გორკის მიერ აწერილ პირთა შორის. წინააღმდეგ, თვით გორკი მძაფრ ქადაგია. იმათაც კი, რომელთაც უნდათ ამოიღონ მისი ნაწარმოებებიდან, მხოლოდ ხელოვნება, მხოლოდ მხატვრობა. არ ძალუძთ თავი დაახწიონ მის ქადაგებას. ყველა მისი გმირები დაბნედილი არიან ფიქრით სიცოცხლე-ცხოვრებაზე: როსკობი, ბოსიკი (სალხანა, მაწანწალა, მოხეტიალე, ფეხშიშველი, მუდამ მთვრალი, ქარ-თულად ეს სიტყვა არ ითარგმნება, რათგან საქართველოში ბოსიკები მხოლოდ რუსებია, მთარგმ.), გლეხი, ქარხნის მუშა, ვაჟარი, ინტელიგენტი — ყველას გულსა ღრუნის ქმუნვა და წუხილი ცხოვრებაზე, — რა საჭიროა? რა საჭიროა ვე აურხაური, სიჭრელე და არეულობა, როგორც, ბაზრობაზე? ბუნება მშვენიერია, მაგრამ ადამიანები... „აი შენ არ გესმის“, ეუბნება ვასილი მალეას, „და მე ხანდახან ვუფიქრებდი ცხოვრებას და შიში მიპყრობს“... ბიოგრაფიულ ნაწარმოებში „ჩემი უნივერსიტეტი“ იმავე განწყობილებით არის გარემოცული თვით ავტორი: „დღემილი მძლავრად უქერს გულს. აზრი იბნევა განუსაზღვრელ სივრცეში და ვხედავ ათას სოფელს, ჩემად მიწაზე დაკრულს ისე, როგორც ჩემი სოფელიც, მყუდროება, უმოძრაობა, სიცალიერე შემოღებურობა და უხილავ წურბელივით სწოვს ჩემს სულს, ძილი მერევა სისუსტისაგან, გაურკვეველი განგაში მალეუვებს, რა მცირე ვარ და არარაობა ამ სოფლად“. მის გმირებს ეს ხშირად მოსდით, ერევთ ძილი, გამოუჩვეველი განგაში აღდევნები. ამიტომაც ყველ რებით ამბობს მალეა: „მე ყოველთვის რაღაც მინდა... მაგრამ რა მინდა, არ ვიცი. ხანდახან ნაწიში ჩაჯდობა მინდა, რომ გავცურო შორს, შორს... ისე შორს, რომ არასოდეს ენახო ადამიანები. ხან კი ყველა მებრალეობა, საკუთარი თავი კი, ხან კიდევ მინდა მთელი ხალხისთვის ერთი მაკრად მაცემინა. მხიარულებასაც განვიციდი, თან მწუხარებდასაც. ადამიანები კი ისეთი ჯიკრებიან...“ — ხალხი დამპალია, მიაძახებს მას სერიოზო. „მალეა“ გორკის შემოქმედების პირველ წლებში დაწერილი (1897). უამრავი ნაწარმოები აქვს მას შემდეგ დაწერილი და თითქმის ყოველ ნაწარმოებში თქვენ შეხვდებით ასეთ აზრებს, ხან „ყოველისადაც სიბრალეა“, ხან „სურვილი ყველას ცემისა, ყველას მოსაბობისა“; ცუდად, სახიზლოდ ცხოვრობენ ადამიანები, უსინდისოდ, ბილწად

სცხრობს დამპალი რუსის ხალხი, პანთეისტი გორკი, მღალადებელი ბუნების ღვთაებრივ შემოქმედებისა, ხდება მოზიზღე ადამიანის ბინძურ სიცოცხლისა და შხად არის შეუბრალებლად დანაგრობის ის, რაც ადამიანს შეუქმნია მიწაზე. უნაყოფო იქნებოდა გორკის შემოქმედებაში ძებნა და დებებით ტიპებისა აღმშენებელ გმირებისა — ან თუნდა კალატოხისა, მარჯვედ და ღამაზად რომ ქვეს ქვაზე აწყობს, სახლს აგებს. ყოველგან — ბოროტება, ჩხუბი, დაკადაკა, ადამიანის უსინდისობა, გათახსირება, ხრიკოსობა, ორპირობა, ტყუილი და ცილისწამება. მართალს, ღირსეულ ადამიანს ამ ქვეყნად არ დაედგომება. აი მართალი კაცი — მეთევზე იზოტ. მისი სიმართლე არც ისე რთულია: კარგი გულისა, უყვარს ქალები, თავდავიწყებამდე ეტრფის ბუნებას, არავის აწყენინებს... მაგრამ განა დაედგომება ასეთ კეთილ ადამიანს ბოროტ ქვეყანაზე? და, რასაკვირველია, „შუა ივლისში დაიკარგა იზოტი“. შემდეგ ნახეს მისი გრძელი გვამი, დამხვრეული, გამოცარიელებული თავისქალათი — წყალს ამოტრეცხია... რად მოკვლეს ბოროტმა ადამიანებმა იზოტი? ამაზე პასუხს გვაძლევს რომისი, პროზავერსიტეტი, და არა მოგონილი ბიოგრაფია: „მეცოდება ეს ხალხი, კვლავინ უმჯობესთ თავიანი წრიდან, გეგონება ეშინიათ მათით“. რომისი მოგვითხრობს, თუ როგორ მოკვლეს კატორღელებმა თავისი ამხანაგი იმიტომ მხოლოდ, რომ ქურდობის მითგებებს ურჩევდა და როდესაც კეთიხა მან, რად ჰქენით ვეაო, უპასუხეს: „შეგვემინდა, არ გაგვეცხო! ერთ კატორღელს გულიც მოუვიდა, იწყინა, როგორ თუ გაგვეცხვდაო, ის არაფერ ფულში არ გავეყიდიდა. არ გვიღალატებდა. მხოლოდ... რაღაც... ისე უხერხული იყო მასთან მეგობრობა, ჩვენ ყველა ცოდვილი ვართ, ის კი ვითომც მართალი კაცი იყოო, ცუდიო...“ შემდეგ, განაგრძობს რომისი: — ბევრჯერ გადავყვირავ ასეთ შიშს კეთილ ადამიანისადმი, კარგი კაცის ცხოვრებიდან ამორიცხვის სურვილი, კეთილსა და კარგს ადამიანებისადმი ორგვარი განწყობილება არსებობს: ან დამენიაქ მას, როგორც ცოფიან ძაღლსა, სპობენ, ან შესცქერიან თვალეში და მის წინაშე ფოთხვით ღიღავენ. რამე ისწავლონ მისგან, მიპაძიან — ეგ არ შეუძლიათ, არ იციან, ან იქნება, არც კი უნდათ, შეეძლოს და არ უნდოდეს წარმოიდგინეთ, ადამიანებს დიდი შრომით, როგორღაც მოუწყვიათ თავისი ცხოვრება, მიჩვევიან მას და ავერ ერთი ვინ-

მე აჯანყდება; ცუდათ ცხოვრობთ. ცუდაი? საკლახეოსს უფალმა, ჩვენ კი მთელი ძალონი ჩაივიდეს მასში! და ხეთქენ თავში ამ კეთილ მასწავლებელს, რომელიც გულს მოშორდი აქეთობას, არ უყვარს, ალტოქაროლო რუსის ხალხს. (გაგრძელება იქნება)

„ღამხრჩვალნი ჩხიქვისს“ საღამო.

ამა წლის 19 ივლისს „ღამხრჩვალნი ჩხიქვისს“ სახელობის დასმა, ყველაზე გრძელი „ჩხიქვისს“, ს. ბერევიანის ხელმძღვანელობით გამართა პირველი სიცილის საღამო, უგარანტიოდ. მაგრამ „ჩხიქვისსმა“ იმდენი გვაიცინეს, ისეთი ანსამბლით და ბუნებობით ჩაატარეს სახუმარო ესკიზები ემიგრანტული ცხოვრებიდან, რომ სრული გარანტია გვაქვს, მომავალშიაც რამოდენიმე საათით მაინც დავიწყეთ ჩვენი სიღუბნური და გულთანად ვიციონთ, სწორედ რომ მადლობის ღირსია ყველა მონაწილე.

შემგარდინის

კარვედის ვუნდი ამით აღწყვეს პატრიცემულ საზოგადოებას, რომ მის მიერ გამართულმა ექვსმა საღამომ დასტოვა წმინდა შემოსავალი 2316 ფრ. 20 სანტ. — კარვედის სექციის სურვილი იყო შეეძინა კარავი და სახაფხულო დასვენებისათვის გაეგზავნა შეგარდინის აქტიური წევრები. მაგრამ ვინაიდან წელს ეს თანხა საქმარისი არ აღმოჩნდა ამის განსახორციელებლად, ამიტომ გამგებამ მიხანშეწონილად მიიჩნია მომავალ ზამთარში მოწყობილ საღამოების შემოსავლის დამატებით, აღასრულოს მის მიერ დასახული მიზანი შემდეგი ზაფხულისათვის.

კარვედის ვუნდის გამგებმა დიდ მადლობას უცხადებს ქართულ საზოგადოებას, რომელიც ესწრებოდა მის მიერ გამართულ საღამოებს, და მეტადრე იმ ოჯახებს და კერძო პირებს, რომლებმაც გაიღეს შრომა და ნივთიერი დახმარება. — ოქტომბრიდან დაიწყება საღამოების გამართვა და იმედს გვაქვს, რომ ქართული საზოგადოება კვლავ გულუხვობას გამოიჩინებს ამ კეთილი საქმის განსახორციელებლად.

შეგარდინის კარვედის ვუნ. მდივანი — მ. ნიკოლაძისა მოლარე — ლ. ნოზაძისა

NICOLAS

(გაგრძელება, იხილეთ "თ. გ." №95)

აფრასიონმა თვლი მოავლო ოთახს: გაუსწორებელი ლოგინი, მრგვალი მაგიდა, რომელზედაც პურის ნაღვლები ჰყარია; ღამაში, საფერფლეს მოვალეობას ასრულებს და საუესა პაპიროსის ნამწვრებით, ოთახის კუნჭულში, პრემიუნზე, ალუმინის ქებაი დგას, თვდით თავდახურული, იქვე პირისპირი მაგიდა; გაცხეთის ქალღღღზე დაკრული საბინი; ქიქაში - კბილის ჯაგარისი; კბილის საწმენდი ვარდისფერი სითხე, გვერდით კედელზე პირსახოცი ჰკიდია დაქანულ ლურსმანზე, იქვე ტანისამოსის განჯინა; შარვლის ტოტი მოპყოლია დახურულ კარებში; ლოგინის პირდაპირ გაკრულია ბერლინიში გამოცემული საქართველოს რუკა, გერმანული წარწერით, გვერდით დამოუკიდებლობის აქტი, ქართული სამფეროვანი პატარა დროშა და ქართული კალენდარი; საქართველოს პრეზიდენტის, კოტე აფხაზის და ვალიკო ჯუღელის სურათებით, იქვე, ლურსმანზე ჩონგური ჰკიდია, აფრასიონის მიერ სათათბროში, ტყეში მუშაობის დროს, გამოთლილი, საქართველოს რუკის ზეგით, შუა კედელზე, ვეებერთელა ოქროთ მოგზაყებულ ჩარჩოში, ღრმა მოხუცებულთა ვამეშვებულ სახე.

C'est mes pauvres parents ესენი ჩემი საბრალო მშობლებია, უთხრა ორი წლის წინად დიასახლისმა თავის ახალ მდგომარს, აფრასიონმა სურათის შეხედა.

Ils ont été si gentils, Monsieur ! (ისეთი კარგები იყვნენ, ჩემო ბატონო!) აუკანკალდა ხმა მოხუც ქალს.

აფრასიონი მეტის დაკვირვებით დააცქერდა სურათს და, თუმცა გაიფიქრა — დევილზე აი ბებრები თუ დარჩა ჩემ ოთახში! — მაგრამ, რომ ესამოგონებინა დიასახლისისათვის, გადამეტებოდა ალტაცებით წამოიძახა:

— ტრე ბონ! ტრე ბონ, მადა! და... ამ სიტყვების შემდეგ, დარჩნენ აფრასიონის ოთახში მადამ მერისის მშობლებიც.

პირველ ხანებში აბრაზედა აფრასიონს მათი ყოფნა, გადასწყვიტა გამოეთქვა უმეყოფილება დიასახლისისათვის. მაგრამ ვერ მოახერხა, მოეროდა. შემდეგ თვალი შეაჩვია, დაუმეგობრდა სურათს, როცა სამუშაოდან ბრუნდებოდა და ელექტრონს ანთებდა, მივიდოდა სურათთან, ქუდს მოიხილიდა და ხმამაღლა მიესალმებოდა მოხუცებულთ:

— ბონჯურ მუსიე, დამ! ერთ დღეს შეამჩნია, რომ დედაბერი, ოთახის რომელ კუნჭულშიაც არ გაჩნდება აფრასიონი, სულ იმას უტყვობს. ამ აღმოჩენამ მეტად გააკვირვა და თანაც გაამხიარულა მდგომარი. იმ დღიდან მოხუც ქალს „ჩემი მფარველი ანგელოზი“ დაარქვა. ქარხანაში მუშაობის დროსაც ხშირად მოგონებდა ქალის დანაიჭებულ სახეს, პატარა ცოცხალ თვალებს და მეტის ხალისით მუშაობდა. სურათი გადაიქცა იმის აუცილებელ საკუთრებად.

აფრასიონმა დიდის დაკვირვებით შეავლო თვალი ყოველი ნივთს. ყველაფერი მისთვის ნაცნობი იყო ამ ოთახში და ისეთი ძველი, როგორც იმისი ძველი შარვლის ტოტი, განჯინის კარებში ჩატანებული. შარვალი გამოიღო და სინათლზე გაუხედა: — საჯდომზე ისე ვაცირე-

ცილიყო, რომ მუსი ბარბიეს სახლიც გარკვევით გამოჩნდა; ისიც კი დინახა აფრასიონმა, რომ ვიღაცა მოადგა ფანჯარას და სწრაფად მოშორდა...

— აქანე რომ გადმევედი ე, სტორედ იმ დღეს ჩევიციკი აი შარვალი... — ჩაილაპარაკა თავისთვის და გაიფიქრა: — გამოვაკერებინებ უკან კუზიანს და სამუშაოდ გამომადებოდა...

განჯინა გამოალო ფართოდ: ძველი შარვალი კუნჭულში მიავდო და ფრთხილად გადუსვა ხელი ახლად შეკერილ მუქ ლურჯი-ფერის ტანსაცმელს, რომელიც დიდის პატივისცემით იყო ჩამოკიდებული ახლად დაუთოებულ თეთრი პერანგის და ნავტალინ-დაყრილ სახშირო პალტოს გვერდით. თეთრ მუყაოს ყუთიდან ლაქის საკვირაო ფეხსაცმელები ამოიღო, სული შეუბრა; დაორთქლა; შემდეგ ძველი შარვლის ტოტით გააპრილა და დიდის მორიდებით ჩაალავა ისევ ყუთში, ერთხელ კიდევ შეხედა ტანსაცმელს: — დასტურ რომ ანგლის ბატერიაა, ძველებური დიანგანალი. არ მუტუტუბებია ურჩის! — სთქვა თავმომწონედ და... სმენად გადაიქცა. ყურზე ხელი აიფარა: კათოლიკეთა ეკლესიის ზარების ბოხი ხმა გუგუნით ვახეხია მზის ალმურში და ზანტად შემოიჭრა აფრასიონის ოთახში.

— ვინცხას მარხვენ! — გაიფიქრა აფრასიონმა. — დედა, ღმერთო კი მომკალი რავა დამაიწყდა, თვარა ქე წევდილიდი! — წამოიძახა მეტად შეწუხებულმა. — ვის მარხვენ და იმ ბერიკაცს... რა კვია? ღმერთო გამახსენე მისი სახელი!... ეკონომას წინ რომ ააქ მხალ... მიშელი რომა კონტრაქტორი, იმის მამას!..

აფრასიონი ლოგინზე ჩამოჯდა, დაღონებული უსმენდა ეკლესიის ზარების გუგუნს... უტყვე წამოიჭრა ზეზე, გაჩერდა შუა ოთახში, ხელები გულზე დაიკრიფა და ოდნავი დაკინებო, ხმა-მალა შეეითხა ფავის თავს: — ხომ ხედავ, ბიძა?!... ცხოვრობდა კაცი ოთხმოცი წლის განმავლობაში ამ ერთი ფინჩხა სოფელში. იცნობდა ყველაყას; დიდს და პატარას, მრუდეს და მართალს, სად რომელი ქვია გვდო და როდის რომელი სახლი იყო აშენებული ზეპირად იცოდა. ორმოცდაათ წლამდე მუშაობდა იმ ქარხანაში, მე რომ ვმუშაობ, ალბად ჩემ ატლეიშიც ქე უმუშავია. ვინ იცის ჩემ ალაგზეც და ჩემ მაშინაზეც, არა, ჩემ მაშინაზე ვერ იმუშავებდა, ახალი მაშინაა გერმანიიდან მოტანილი, მარა ასე ვთქუთა მაინც. ხო და, იმუშავა, იმუშავა ამ კაცმა, მაამისის დანატურარის მისი ეკუნშიაც წუთმატა; დეიდაც ქვის სახლი, შემოლობა ეხო, შეირითო ქალი, ვაკეთა ბანდები და, რომ მოწყინდა მუშობა და პენსიაზეც მიდგა საქმე, მიანება ქარხანას თავი და ქე დაჯდა სახში, მის ადგილას მისი ბანდები მუშობდნ, თითონ მთელი დღის განმავლობაში იჯდა ეხოში და ითვობდა ძველებს, გეაკეთებდა ცხვირზე სათვალეს და კითხულობდა „პტი პარიზინს“. გამველე - გამოველეს ათვალეობდა. დიდი და პატარე; ყველაყი, გამარჯობას ეუნებოდა მოხუცებულს. ხანში შესული გამოელაპარაკებოდა კიდევ, რამდენჯელმე მეც ქე მიხარა გამარჯობა! ჩემსოლოვაკელი ვეგონე, ვერავტარებო ვერ შევანებე ბერიკაცს, რომ ქართველი ვარ. რა არ ვუთხარო: ჯორჯინენ, კაკაზინენ, მერ მუარ — მარა ვერაფერი მუტუხერბე. — რამდენი საათის სასიარულოა აქედან შენი ქვეყანა? — მკითხა ერჯელ, რომ გვიყო თვე ნახევარი მუხუდი აქ-

ნე ჩამოსვლას, ქე გუშუკვირდა. გუშუკვირდებოდა, აბა, არა! იმას ფეხი არ მუტუცლია ამ სოფლიდან. პარიციკი კი არ უნახება, ხო და, გეკითხები მე შენ?

აფრასიონი მივიდა კედელთან, გადაუსვა ხელი გამტვერიანებულ სარკეს და შიგ ჩაიხედა.

— გეკითხები და, შენი ჭირბე, მიპასუხე: იყო თუ არა მამი ბერიკაცი ბედნიერი, რომ არ მეიცვალა ფეხი იმ სოფლიდან, სადაც დეიბადა, გეზარდა, დაბერდა და დღეს, რავარც შენც კარგათ ხედა, ქე მიპაბრებენ მის მიწას?

სარკეში აფრასიონის სახის გამომეტყველება შეიცვალა და დასტური მისცა თავის დაქვევით.

— ხო და, ამას ვამბოდ მეც! — სიხარულით წამოიძახა აფრასიონმა.

მაგიდასთან მივიდა, ყუთი გამოსწია, პაპიროსის კოლოფი და გოგირდის წუთმწუმა ამოიღო. ლოგინზე რომ გაიშალა, მხოლოდ მაშინ გაკრა წუთმწუმა ლოგინის ფეხზე, ოთახში გოგირდის მუცე სუნე დადგა... მიძიმედ შესისუნთქა თამბაქოს კომლი, თვალები დახუტა... ღიღხანს იყო ასე, გაუძნრეველად, თითქოს ჩაეძინა...

ქუჩაში მოძრაობა დაიწყო: ვიღაცამ ჩაახველა, ველოსიპედი გასრიალდა ზარის წყარუნით...

ვიღაცამ ხრიწიწიანის ხმით მისცა საღამო ვიღაცას: Ça vas ალაყავის კარები ჭრიალით გაიღო და ჭრიალითვე დაიხურა... მადამ ბარბიეს წერილი ხმა ვაისმა: Dépêche-toi, Andrée (აჩქარდი ანდრე!)

Mais, oui, maman ! და... აფრასიონის სახეზე ხან გაკვირვება, ხან ღიმილი აღიბედა... ფეხის ხმაზე სცნობდა გამველეთ: მაღმუაზელ ანდრე პატარა და ჩქარ ნაბიჯებს ადვამს... აი, კიდევ შეუხვია რაუ დეზეკოლზე, ეკლესიაში თუ მიდის?...

— კაი ვოგოა სტორეთ, ანდრე რომ არ ქეიოდეს! — გაიფიქრა აფრასიონმა. — ჩვენში ანდრე და სიმონაი კაცებს ქვია! მოდი ახლა და შეირთე მამი ქალბატონი და ჩაბრძანდი სახში, ქარ დავაყრის სიცილს დიდი და პატარე; ანდრეის შერთუა თუ გინდოდა, ავერ არ ვავდა ანდრე ბერიკო!..

ჩახლენილი ხმით იტალიელი პიერო მიესალმა მეპურეს ბიუს... ჩახველა პროტესტანტების პასტორამ მუსიო ვერნიემ.

— ანფრასიონ!.. აფრასიონი ლოგინზე წამოჯდა, მგონი ვიღაცამ დაუძახა?!

— ანფრასიონ! — მოისმა მკაფიოდ და აფრასიონმა იცნო პავლეს ხმა.

— დაგწყველოს ჩემმა გამჩენმა! რამ მოიყვანა მამი შეჩენებული?! — წაიფურჩლო აფრასიონმა და გადასწყვიტა: — გაუტუხებები, იფიქრებს — სახში არ ვარ და ქე მომეშვებო, ანდრამ ქუჩიდან ახლა ღირალი მოისმა: — პიი, ანფრასიონ!

დიასახლისის კნავილიც დაემატა: Monsieur Nicolas, votre camarade ! აფრასიონმა კარგაში გაპყო თავი და დიასახლისის დაუძახა:

— უუი, მადამ, კამარად ვენირ! ანტრე სილ ვუ ბლე!

შემდეგ ვანჯარასთან მიიჭრა და სწორედ დროზე მიუსწრო, თორემ იმის „კამარადს“ პირი დაღებული ჰქონდა და ყვირილი აპირებდა.

— რა ვაცივრები, კაცო?! ცეცხლი ხომ არ მოკიდებია სოფელს!

— ე, სახლში ხარ?! მე კი ვიფიქრე, — სახლში არ არი მეთქი!

— სახში რომ არ ვიყო, რას გამაგონებ ყვირილით?! ამოდი, ამოდი პავლია! დიასახლისი გაგიღებს კარს!

— არა, გენაცვა! რად შეგაუწუხო! მე ევრე მოველ!... პატარა საქმე მაქვს და...

— თუ საქმე გაქ, ამოდი, კაცო! რას მეპატყები?! — მაშე კარგი, ქა! ენჯრე იყვეს! ამაველ! მამატიე კია, ანფრასიონ!

აფრასიონმა საღამური პერანგი ძველ შარვალში ჩაიხეჩა, შიშველი ფეხები საჩქაროდ ჩაპყო ფოსტლებში და პავლეს გაეგება.

ქვეთა საართულში: კარები გაიღო, — ბონჯურ მუსიე დამ!

Bonjours Monsieur ! Entrez, entrez s'il vous plaît ! Essuyez bien vos pieds (დღე მშვიდობისა, შემოდიო, შემოდიო, ვაიწმინდეო კარგად ფეხები!)

პავლე ბეჯიოთად იწმენდს ფეხსაცმელებს. — გეყოფა ახლა! — ფიქრობს მეორე საართულში, თავის ოთახის კარებთან ატუხული აფრასიონი, — ამდენი წმენდაც არ გამიგონია!

Il fait chaud, n'est-ce pas ? — ეხ, მადამ! ლა ფრანც ეა შო! ლა ჯეიორჯი ბოკუ შო! — უპასუხებს სიცილით პავლე.

— ვერ უყურებ, პავლიას, რავა აფრანცულებს! — ამბობს ღიმილით აფრასიონი.

კიბებზე ბრახუნე მოისმა. ფეხის დასხლტომაც, — ე, ვერანა, რა ვასანულა, და! — სთქვა სიცილით პავლემ, როცა აფრასიონს მავრად ჩამართვა ხელი:

— აი, შენი კარგი გამარჯვება! ოთახში, ლურსმანზე დაქედილი სამუშაო ფეხსაცმელების ბრახუნით, შემოვიდა ხანში შესული, პატარა ტანის კაცი, ჩაფსკენილი, დამრგვალბული ბეკები ვახეხია ვიწრო და ვახუნებულ ლურჯ სეროტეში, დამტვერიანებული შარვალი შემოპკროდა მსუქან ბარბაყებზე, კეფაზე მოგდებული კეპი მოიხადა, უბიდან ჭრელი ცხვირსახოცი ამოიღო და მოიხოცა მსუქანი ოფლი მზისგან დამწვარი სახეზე და, დაბალ, ძარღვიან სიერზე, ვეებერთელა დაკოვირილი ხელით გაისწორა მსხვილი წარბები; გრძელი და სქელი ულვაშები ჩამოიჩეჩა, კაკლის სისხო შავი თვალეებით ახედ-დახედა აფრასიონს და გულთანად გადაიხარხარა:

— ანფრასიონ! არა გრცხვინან, ბიკო, ეხლა ხან ადექი! აფრასიონს სიცილის თავი არ ჰქონდა, მთელი მისი გეგმები ჩაიწალა პავლეს მოსვლით, მაგრამ ისე გულთანად იციროდა სტუმარი, რომ ღიმილი ვერ შეიკავა.

(გაგრძელება იქნება)

სიმონ ბერევიანი

La Gérante: K. Charfemagn

Imp. DUPUIS, 63 bis, rue de Billancourt — Boulogne